1776 წლის მზითვის წიგნი, რომელიც მიუცია ამირინდო ამილახორს თავის ასულ თამარისათვის, დაუწერია პაისიოს სამთავნელ ეპისკოპოსს.[56] იმავე 1776 წელს მდივანბეგი იესე ამილახვარი წერს სამთავნელ პაისიოსს: ,,შენის ეკლესიის ყმა მტრისაგან და ჩვენის სახლისკაცისაგან შეწუხებული იყო... გვეაჯე, რომ შენის ყმისთჳს ამირახორის შვილებს არა წაერთვათ რა".[57]

1779 წლის 17 მარტსაა გაცემული ,,სამთავნელი ეპისკოპოსის განწესება სამთავისის ეკლესიის დეკანოზ დემეტრესა და მღვდლებისადმი," რომელსაც ახლავს ხელრთვა, სავარაუდოდ, პაისიოს სამთავნელისა.[58] განწესება შედგენილია სამთავისის ეკლესიის მღვდელმსახურთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრის მიზნით. 1779 წლის 20 მაისით თარიღდება ,,სამთავნელ ეპისკოპოს პაისიოსის მიერ აზნაურ თამაზ ქავთარაძისათვის ბოძებული მამულის წყალობის წიგნი", რომელსაც პაისიოს სამთავნელის ხელრთვის გარდა, ახლავს გერვასი სამთავნელის შემდეგდროინდელი ხელრთვაც.[59]

1780 წ. 6 აპრილით არის დათარიღებული ,,არზა პაისიოს სამთავნელისა გამოსაღების თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით".[60]

1783 წელს ამილახვრები პირობას აძლევენ იმავე პაისიოს სამთავნელს, ,,თქვენს მამულებზე არ შეგაწუხებთო".[61] 1787 წელს პაისიოს სამთავნელის ჩივილის საფუძველზე, მდივანბეგი ამილახვარი იესე ამილახვართაგან მიტაცებულ კასპის ზვარს შიომღვიმის მონასტერს უბრუნებს.[62]

პაისიოსი ნამდვილად სამთავნელია 1786 და 1787 წლებშიც, რაზედაც იუწყება ამ წლებში გაცემული ორი არზა მეფე ერეკლე II-ის ოქმით,[63]

[56] ხეც. Sd-1901.
[57] თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და ,,ძეგლი" ვაჰხანის ქვაბთა. თბ. 1896. გვ. 83.
[58] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 927; სეასცა. ფონდი 1448-2028.
[59] ხეც. Hd-2227.
[60] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII (სასამართლო არზა-ოქმები). ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1981, გვ. 470-471
[61] თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და ,,ძეგლი" ვაჰხანის ქვაბთა, გვ. 83.
[62] თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და ,,ძეგლი " ვაჰხანის ქვაბთა, გვ. 83-84.
[63] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 696-697; 723-724.

საიდანაც ვიგებთ, რომ მეფე ერეკლემ სამთავნელ პაისიოსის სარჩელი დააკმაყოფილა.

მაგრამ, იმავე 1787 წლის 20 ოქტომბრის პაისიოს მთავარეპისკოპოსის მიერ ოთარ ამილახვრისადმი გაგზავნილ წერილში, ის უკვე ქართლის მთავარეპისკოპოსად მოიხსენიება. როგორც ჩანს, იმავე წლის შემოდგომიდან პაისიოსი სამთავნელი უკვე აღარ არის. აქ იგი ულოცავს ოთარს მეფისგან მდივანბეგად დანიშვნას: შენი ამილახვრობა ,,სასუფეველში რომ შევსულვიყავ, ისრე მიამა-ო", – აღნიშნავს იგი.[64]

ამას გარდა, 1787 წლის 29 დეკემბრის საბუთით („განჩინება კუტის მარიამის შვილის პაპუნას საქმეზე") ირკვევა, რომ ამ დროს პაისიოს სამთავნელი უკვე ქართლის მთავარეპისკოპოსია. საბუთში იგი მოიხსენიებს მისი სამთავნელობის პერიოდს.[65]

პ. კარბელაშვილი პაისიოსის სამთავნელობის პერიოდად მიიჩნევდა 1772-1784 წლებს, რაც დასაზუსტებელია. იგი წერს: ,,ამან უბოძა მშვენიერი ინსტრუქცია 1773 წ. 14 მარტს სამთავისის დეკანოზს და მღვდელს სამსახურისა და შემოსავლის განაწილებისათვის. ამან უბოძა და აკურთხა იოანე ქარუმიძე. დეკანოზი-კანდელაკი, ჯვარისმტვირთველობა, ს. ნადარბაზევი სამთავისის კანდელაკის სახელო იყო".[66] (როგორც ჩანს, პ. კარბელაშვილი გულისხმობდა 1779 წლის 17 მარტის საბუთს, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ: (სეა). ფონდი 1448-2028.).

ჩვენთვის ცნობილ საისტორიო დოკუმენტებში, პაისიოს გარსევანიშვილი სამთავნელ ეპისკოპოსად ჩანს 1776-1787 წლებში, შემდეგ იგი ქართლის მთავარეპისკოპოსია.

პ. იოსელიანი პაისიოსის შესახებ წერს: ,,პაისიოს გარსევანაშვილი, ნამღვდელავი, რომელსაცა სწამებდენ ფრანგობასა; მეფე გიორგი არ მიენდებოდა მას ფრანგობისათვის".[67]

1787 წლის 24 ნოემბერს პაისიოს მთავარეპისკოპოსი ქვახვრელთადმი მიცემულ საბუთში გიორგი მეფის შვილს სწერს: ,,მე რომ სამთავნელი და მღვიმის წინამძღვარი გახლდი..."[68]

[64] სეასცა. ფონდი 1448-3342.
[65] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V. სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.). პროფ. ი. დოლიძის რედ. თბ. 1974, გვ. 393-397.
[66] სეასცა. ფონდი 1461. საქმე 17.
[67] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. ტფ. 1936, გვ. 140.
[68] სეასცა. ფონდი 1449-2145.

თ. ჟორდანია ფიქრობდა, რომ პაისიოსი ჩაანაცვლა გერვასი მაჭავარიანმა: ,,ამის მაგიერად სამთავნელად და მღვიმის წინამძღვრად ამ წელს დაუნიშნავთ გერვასი (მაჭავარიანი)“.[69] ეს მოსაზრება სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან დოკუმენტებში ნათლად ჩანს, რომ პაისიოს სამთავნელი ჩაანაცვლა იულიოს სამთავნელმა (1787-1789 წწ.), ხოლო ეს უკანასკნელი 1790 წელს – მიხაილ სამთავნელმა. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გერვასი მაჭავარიანი სამთავნელი და მღვიმის წინამძღვარი.

XVIII საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საბუთებში სამთავნელად მოიხსენიება იულიოსი. 1789 წ. 29 მაისს ანტონ II-ის იოანე ქარუმიძისადმი ბოძებულ წყალობის წიგნში[70] ჩანს, რომ კათალიკოსის ნებართვით, იულიოს სამთავნელს სამთავისის ეკლესიის პროტოპოპ იოანესათვის, მანამდე სამთავნელ მთავარეპისკოპოს პაისიოსის მიერ ბოძებული წყალობები: სამთავისის ეკლესიის დეკანოზობა და პროტოპრესვიტერობა განუახლებია. მასვე უწყალობებია აგრეთვე ჯვარისმტვირთველობა. საბუთს ახლავს ხელრთვა კათალიკოსისა და იულიოს სამთავნელისა.[71]

1789 წლის 22 დეკემბერს გაცემული ,,წიგნი ანტონ II-სა ოთარ ამილახვრისადმი სამთავნელ ეპისკოპოსის შევიწროების თაობაზე“, გადმოგვცემს ამბავს, რომ ოთარ ამილახვარი და მისი შვილები სამთავნელ ეპისკოპოსს ავიწროებდნენ და არ ემორჩილებოდნენ. ამის გამო ანტონ კათალიკოსი ამილახვრებს საყვედურით მიმართავს.[72]

იულიოს სამთავნელის მოღვაწეობისა და მისი ქრონოლოგიის შესახებ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს 1786 წლის 24 მაისის ,,განჩინება გიორგი XII-სა ნიქოზელისა და ფავლენიშვილების ყმა-მამულის საქმეზე“.[73] ნიქოზელი იულიოსი და ფავლენიშვილები ყმა-მამულის თაობაზე დაობდნენ. კრებამ დადგენილება გამოიტანა, რომ ორივე გვარის წარმომადგენლებს (ფავლენიშვილ-შალიკაშვილებს), როგორც ადრე, ისევე ახლაც, შეეძლოთ თავიანთი მიცვალებულების დაკრძალვა ნიქოზელის შეკითხვითა და ნებართვით.[74] საბუთის ბოლოს დართულია მინაწერები: ,,სამთავნელ ეპისკოპოსს იულიოსს, რაც ნიქოზლის წიგნები ჰქონდეს ეკ-

[69] თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და ,,ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, გვ. 84.
[70] სეასცა. ფონდი 1449-816.
[71] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 981-982
[72] ხეც. Sd-448.
[73] ხეც. Ad-1504-ა.
[74] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V, გვ. 329.

ლესიისა თუ მამულებისა, ყველა ჩამოართვითო და ნიქოზელს ათანასის მიაბარეთო... ამის პირი წიგნი, რომლისაგანაც ეს გარდიწერეს, ისევ იულიოს სამთავნელს მოაბარა. და სხვა წიგნები იმ ნიქოზელს უბოძა... **მიბარება სამთავნელობაში იყო და ჩამორთმევა – ურბნელობაში...** დოკუმენტს 1795 წელს ამტკიცებს სამთავნელი გერვასიც.[75]

ამდენად, ირკვევა, რომ იულიოსი 1786 წლისათვის ნიქოზელი ეპისკოპოსია, 1787 წელს იგი სამთავნელი ეპისკოპოსი ხდება (1790 წლამდე), ხოლო შემდეგ – ურბნელი. სხვა წყაროებით, 1787 წლიდან ქართლის მთავარეპისკოპოსი ხდება პაისიოს სამთავნელი, ნიქოზელად აკურთხებენ ათანასეს, ხოლო 1788 წელს ურბნელი არის იუსტინე.[76]

ერთი საისტორიო დოკუმენტიდან ჩანს, რომ მეფისა და კათალიკოსის გადაწყვეტილებით, სამთავისის კათედრის გამგებლობა 1790 წელს ჩააბარეს მიხაილს, რომლის მღვდელმთავრობაც აღნიშნულ კათედრაზე მისი წინამორბედი ეპისკოპოსის მსგავსად, ოთარ ამილახვართან დაპირისპირებით დაიწყო. კერძოდ, „წერილი მიხაილ სამთავნელისა ოთარ ამილახვრისადმი“ (1790 წლის 31. VII.) მოწმობს, რომ ამილახვარ ოთარის ბრძანებით, თამაზა ქავთარაძეს სამთავნელი მიხაილისთვის წერილი გადაუცია, რომელშიც უთვლიდა, რომ თავად ამილახვარი მოუცლელი ბრძანდებოდა და სამთავისში რა შესამოსელიც იყო, მიტროპოლიტისთვის მიებარებინა, ყმა და მსახურებიც გამოეყვანა, სამთავისში მისულიყო და, როგორც კი მოიცლიდა, თვითონაც იქ ჩავიდოდა. სამთავნელი, რომელიც მეფისა და კათალიკოსისაგან, როგორც ჩანს, ახალი გაგზავნილი იყო თავის ახალ ეპარქიაში, ოთარის დამოკიდებულებით უკმაყოფილო დარჩენილა. ის გორში მთავარეპისკოპოსთან გაჩერებულა და ოთარ ამილახვრისთვის საყვედურით სავსე წერილი გაუგზავნია.[77]

შემდეგდროინდელ სიგელებში მიხაილი სამთავნელად აღარ მოიხსენიება. როგორც ჩანს, სამთავისში ის დიდხანს არ გაჩერებულა. XVIII საუკუნის 70-იან წლებში მიხაილი ჯერ თბილელი ეპისკოპოსი იყო, 1790 წელს, როგორც აღვნიშნეთ, სამთავნელი მიტროპოლიტი გახდა, ხოლო 1796-1802 წლებში ნინოწმინდელი მიტროპოლიტია. სამთავნელად კი, XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან დოკუმენტებში ჩანს გერვასი სამთავნელი (მაჭავარიანი).

[75] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V, გვ. 325-332.
[76] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 977-978.
[77] სეასცა. ფონდი 1448-2479.

პ. იოსელიანი მიხაილ ნინოწმინდელზე წერს: ,,არ უყვარდა მეფესა გიორგის. მოკვდა 1813 წელსა ბრმად. იყო მოწაფე ანტონი კათოლიკოსისა“.[78] ხოლო იოანე ბატონიშვილი მის შესახებ ამბობს: ,,იყო ფილოსოფოსი და საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი... ესე უფრო დაშვრა საღმრთოთა წერილთა და ისტორიებთა გარდასაწერად, რომელმანც თვისითა ხელითა გარდასწერნა წიგნნი დიდნი და მცირენი ვიდრე რვაასამდისინ. და უკანასკნელ მხცოვანებისა ჟამსა გარდაიცვალა“.[79]

გერვასი მაჭავარიანი, ერთი წერილის მიხედვით, სამთავნელად 1791 წლიდანვე იხსენიება. ამ წელსაა გაცემული ,,არზა გერვასი სამთავნელისა ოთარ ამილახვართან“.[80] ასევე 1794 წლის ერთ საბუთს ახლავს ხელრთვა სამთავნელ ეპისკოპოსისა და მღვიმის წინამძღვრის გერვასი მაჭავარიანისა.[81]

ამილახვრებთან საქმის მოგვარება სწორედ გერვასი სამთავნელმა მოახერხა 1796 წელს, როცა მან ურჩი ფეოდალები, რომლებიც ეკლესიისა და ეპისკოპოსის შევიწროებასაც არ ერიდებოდნენ, მეფისა და კათალიკოსის ერთგულებაზე დააფიცა. კერძოდ, 1796 წლის 8 სექტემბრით დათარიღებული ,,ფიცის წიგნი გერვასი სამთავნელისა და სამთავისის აზნაურიშვილებისა“ მოგვითხრობს ამბავს იმის შესახებ, რომ სამთავისის აზნაურისშვილებმა გერვასი სამთავნელის წინამძღოლობითა და შუამდგომლობით, ერეკლე მეფისა და მისი შვილების ერთგულებაზე დაიფიცეს. ,,ფიცის წერილი“ 10 მუხლისაგან შედგება. საბუთს ამტკიცებს გერვასი სამთავნელი – ,,ყოვლად სამღვდელო სამთავისისა, ქსნისა, წინამძღუარი მღვიმისა“. დოკუმენტს ხელს აწერს სამოცამდე ფიცის დამდები.[82]

1796 წლის 15 ნოემბრითაა დათარიღებული ,,განჩინება აბულაძეების გაყრის საქმეზე“. რადგან აბულაძეები სამთავისის წმ. ეკლესიის ყმები იყვნენ, მამულები, ქვევრები და საწნახელი მათ ეპისკოპოსმა გაუყო.[83]

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია არა ერთი წერილი გერვასი სამთავნელისა ოთარ ამილახვრისადმი: 1797 წლის,[84] 1798 წლის[85]

[78] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 257-258.
[79] იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. ტ. II. კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. თბ. 1948, გვ. 193.
[80] სეასცა. ფონდი 1448-3416.
[81] თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და ,,ძეგლი“ ვახხანის ქვაბთა, გვ. 84.
[82] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 1031-1032.
[83] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V, გვ. 685.
[84] სეასცა. ფონდი 1448-2038; 1448-3406.
[85] სეასცა. ფონდი 1448-1919.

და 1799 წლის,[86] ასევე 1811 წლის წყალობის წიგნი გერვასი სამთავნელისა მღვდელ უზნაძისადმი[87] და სხვ.

დოკუმენტში ,,კათალიკოზის სამწყსო სოფელნი და ხელქვეშენი მღვდელმთავარნი ქართლსა და კახეთში,“ რომელიც პირობითად 1788-1811 წლებითაა დათარიღებული, აღნიშნულია, რომ სამთავისის ეპისკოპოსი გერვასი 17 სოფლის მფლობელი ყოფილა.[88]

თ. ჟორდანიას სამთავისის ერთ ჯვარზე 1799 წლის მხედრული წარწერა ამოუკითხავს: ,,სამთავნელ ეპისკოპოსმან მაჭავარიანმა გერვასი შემოვწირე სამთავისის ღვთაების ეკლესიას წელსა ჩღჟთ“.[89]

როგორც ზემოთ ითქვა, 1800 წლის განჩინებით, სამთავნელი ეპისკოპოსი და მღვიმის წინამძღვარი გერვასი მაჭავარიანი წყალობის წიგნს აძლევს სამთავისის დიდი ეკლესიის დეკანოზს, აზნაურ იოანე ქარუმიძეს.[90] 1801 წლის 26 აპრილს, გიორგი ამილახვარი სწერს სამთავნელ ეპისკოპოსს, რომ დეკანოზ იოანე ქარუმიძეს სამთავისში ერთი საკომლო უბოძოს.[91]

1802 წლის 7 მაისის ერთი საბუთის მიხედვით ვიგებთ, რომ სამთავნელი გერვასი კარლ კნორინგს მიმართავს რუსეთის ხელმწიფის წინაშე შუამდგომლობის თხოვნით, რათა მისთვის პეტერბურგში ჩასვლის ნება მიეცა მოღვაწეობის იქ გასაგრძელებლად.[92] როგორც ჩანს, 1802 წელს მისი თხოვნა არ დააკმაყოფილეს, რადგან გერვასი ,,წილკნელ-სამთავნელის“ ხარისხში შემდგომ წლებშიც ჩანს ამავე კათედრებზე.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია 1805 წლის ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ,,ღერვასი წილკნელ-სამთავნელის შესამოსელი და ნივთები“: ,,ქ. ესენი საკუთრად სამთავისის ეკკლესიისა არის წილკანში. ამისთვის რომ სხვა შესამოსი არ იყო იქა და სამთავისისასა ვხმარობ“.[93] 1808 წლითაა დათარიღებული ,,მიწერილობა ურბნელისა საქართველოს პატრიარქისა და მღვდელმთავრებისადმი“, რომელშიც მოწმეებს შორის დასახელებულია წილკნელ-სამთავნელი გერვასი.[94]

[86] სეასცა. ფონდი 1448-10037.
[87] სეასცა. ფონდი 1448-6949.
[88] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 1114.
[89] ქრონიკები. ტ. III, გვ. 451.
[90] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 1060-1061.
[91] სეასცა. ფონდი 1449-815.
[92] სეასცა. ფონდი 1448-9202.
[93] სეასცა. ფონდი 1448-6809.
[94] ხეც. Sd-3044.

1812 წლის ერთ კრებულში შესულია ,,მარგალიტი,“ რომელსაც ახლავს ნუსხურით შესრულებული შემდეგი მინაწერი: ,,დიაკონად ჴელ-დასხმულ იქმნა სოლომონ, აპრილის იე, წელსა ჩყიე (1815 წ. – მ. შ.) დღესა დიდსა ხუთშაბათსა, ჴელითა წილკნელ სამთავნელ ღერვასისათა“.[95]

პ. კარბელაშვილის აზრით, გერვასი (მაჭავარიანი) წილკნელ-სამთავნელი მოღვაწეობდა 1796-1816 წლებში. გარდაიცვალა 1817 წელს. ჩვენი აზრით კი, ის 1791-1817 წლებში მღვდელმთავრობდა. რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ (1811 წ.), მართალია, იგი კვლავ ჩანს წყაროებში, მაგრამ, სავარაუდოდ, მას თავის ეპარქიაში, შექმნილი ვითარების შესაბამისად, სრულფასოვანი საქმიანობის უფლება აღარ მიეცემოდა.

ჩვენს მიერ ახლახანს გამოქვეყნებული ერთი დოკუმენტის მიხედვით, რომელშიც აღწერილია სამთავნელ-წილკნელი გერვასის კუთვნილი ეკლესიებისა და სამწყსოს შემოსავლების მოკლე ნუსხა, ცნობილი ხდება, რომ გერვასი მაჭავარიანი ჩყიბ (1812 წ.), ჩყიდ (1814 წ.) და ჩყიე, იულისის ი (1815 წ. 10 ივლისს) წლებში, ჯერ კიდევ აღნიშნული კათედრების მღვდელმთავარია.[96] მას ასევე “ქსნისა და მღვიმის წინამძღვრობაც“ ევალებოდა.

სამთავისის სამონასტრო კომპლექსში დღემდე შემორჩენილია გერვასი სამთავნელის კუთვნილი საეპისკოპოსო სასახლის ნანგრევები.

იოანე ბატონიშვილი თავის ,,კალმასობაში“ ასე ახასიათებს გერვასი სამთავნელს: ანტონ I-ის აღზრდილი, ,,ტიბიკონთა შინა გამოცდილი და მშვენიერი ცერემონიოსი, უცხოდ რიგზედ შემწირველი, სტუმართმოყვარე და ეკკლესიათა თვისთა მოღვაწე...“.[97]

აი, რას წერს გერვასი მაჭავარიანზე პ. იოსელიანი: ,,გერვასი წილკნელი, გვარით მაჭავარიანი, ესე ეკურთხა მეფისა გიორგისა დროსა, რომელიცა მას ვერა სწყალობდა. რად? ვერ ვსცან. მოკვდა 1817 წელსა. ამის მეტი მეფის გიორგის დროს არ კურთხეულა ეპისკოპოსად“.[98] როგორც

[95] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. VI, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა, ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 1969, გვ. 44-45; ხეც. S-4614.

[96] მ. შაორშაძე. სამთავნელი და წილკნელი ეპისკოპოსი გერვასი (მაჭავარიანი) და მისი აქამდე უცნობი ორი დოკუმენტი (1791-1817 წწ.). თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XVIII. თბ. 2022. გვ. 251-260; ხეც. Hd-11200.

[97] იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. ტ. II, გვ. 195.

[98] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 258.

ჩანს, ამ ცნობაში იგი გერვასის წილკნელად კურთხევას გულისხმობს, რადგან გიორგი XII-ის გამეფებამდე (1798-1800 წწ.) ის უკვე სამთავნელი ეპისკოპოსი იყო.

1801 წელს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ეკლესიის უმაღლესი იერარქია და სხვა სასულიერო პირებიც. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია 1802 წლის ,,ქართლ-კახეთის სასულიერო პირების მოხსენებითი ბარათი რუსეთის იმპერატორისადმი", საიდანაც ვიგებთ, რომ ქართლ-კახეთის ეპისკოპოსები და არქიმანდრიტები, აღიარებენ რა რუსეთის იმპერატორის მიერ 1801 წელს მიღებულ მანიფესტს ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების თაობაზე, მიმართავენ იმპერატორ ალექსანდრე I-ს (1801-1825 წწ.), რათა საუკუნეთა მანძილზე აოხრებული და დასუსტებული საქართველოს ეკლესია-მონასტრებს შეეწიოს, აღადგინოს და დაიცვას ისინი. სასულიერო დასის განსაკუთრებულ სათხოვარს წარმოადგენს ის, რომ ლათინებს, რომლებიც ითხოვდნენ უკან დაებრუნებინათ მათი კუთვნილი ეკლესიები თბილისსა და გორში, იმპერატორი არ დახმარებოდა, რადგან ეს მცირე ტაძრები ქართველმა მეფეებმა დიდი ხნის წინ ჩამოართვეს მათ და მართლმადიდებელ ეკლესიას გადასცეს. ქართველი სასულიერო პირები წუხილს გამოთქვამენ იმაზეც, რომ ამ მართლმადიდებლურ ტაძრებში წლების მანძილზე მრავალი ქართველი საერო და სასულიერო პირი იყო დასაფლავებული და, ამის გამოც, მათი კათოლიკებისათვის დაბრუნება არ შეიძლებოდა.

არსებობს ამ საბუთის ორი დედანი, რომლებიც შედგენილია 1802 წლის 28 და 29 აპრილს.[99] 28 აპრილის წერილს, სხვა მღვდელმთავრებთან ერთად, ხელს აწერენ: ,,მდაბალი მიტროპოლიტი წილკანისა, არაგვისა, მუხრანისა და ახალგორისა იოანე და ყოვლად სამღუდელო სამთავისისა და ქსნისა ღერვასი", ხოლო 29 აპრილის წერილში მცირე განსხვავება შეინიშნება იოანეს ხარისხში: ,,მდაბალი მიტროპოლიტი სამთავროსა და გორისა და წილკანისა იოანე".

პ. იოსელიანის თანახმად, სამთავნელი ეპისკოპოსი იყო იოანე ქარუმიძეც, ონოფრე ბერის შვილი, რომელიც შემდეგ გახდა ქართლის მთავარეპისკოპოსი: ,,იოანე ქარუმიძე, ონოფრე ბერის შვილი, კაცისა დიდად

[99] მ. შაორშაძე. XIX საუკუნის დასაწყისის ქართველი სასულიერო მოღვაწეები მართლმადიდებელი ეკლესიის დასაცავად. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. V. თბ. 2012, გვ. 208-220; სეასცა. ფონდი 1448-9200; 1448-9199.

წმიდისა და მოღვაწისა, გარესჯას გარდაიყვანეს წილკნიდამ“.[100] როგორც ჩანს, აქ საუბარია სხვა იოანე ქარუმიძეზე და არა ზემოთ ნახსენებ გიორგი სამთავნელის შვილზე, სამთავისის დეკანოზსა და კანდელაკ იოანე ქარუმიძეზე. პ. იოსელიანი შემდეგაც ახსენებს იოანეს გარდაცვალების ამბავს: ,,იოანე ქარუმიძე, სამთავნელი, მერეთ მთავარეპისკოპოსი, კაცი ნასწავლი. მოკვდა თფილისს და დაასაფლავა არსენი თფილელმან თვისსა სამეტოქოსა კვირაცხოვლისა ეკკლესიასა 1804 წელსა“.[101] საინტერესოა, მაინც რომელ წლებში შეიძლებოდა ყოფილიყო იოანე ქარუმიძე სამთავისის ეპისკოპოსად? შესაძლოა, მცირე დროით, მართლაც იკავებდა იგი სამთავისის კათედრას, მაგრამ ამის თაობაზე საისტორიო წყაროები არაფერს გვეუბნებიან.

არსებობს კიდევ სხვა მნიშვნელოვანი საკითხიც. კერძოდ, პ. კარბელაშვილი სამთავნელებში ასახელებს ქართლის რამდენიმე მთავარეპისკოპოსს, რომელთა სამთავნელობაც საისტორიო დოკუმენტებში არ ჩანს. ის წყაროდ უთითებს დ. ფურცელაძის ან პ. იოსელიანის ნაშრომებს. მართლაც, დ. ფურცელაძის გავლენით, რომელმაც, სავარაუდოდ, ,,სამთავროელის“ და ,,სამთავნელის“ იდენტიფიკაცია მოახდინა, ქართლის მთავარეპისკოპოსები: **ევდემონი (დიასამიძე)** (XVII ს. ბოლო), **რომანოზი (ერისთავი)** (XVIII ს. 30-იანი წწ.), **კირილე (ციციშვილი)** (XVIII ს. 30-70-იანი წწ.), **ბესარიონი (გოსტაშაბიშვილი)** და **იოასაფ (ყაფლანიშვილი)** (XVIII ს.), სამთავნელების ქრონოლოგიურ ნუსხაში შეიყვანა პ. კარბელაშვილმაც. ყველა ეს მღვდელმთავარი ცნობილია როგორც ქართლის მთავარეპისკოპოსი და მათ დ. ფურცელაძე ასეც მოიხსენიებს, მაგრამ დასახელებული ჰყავს სამთავნელებში.[102] ამასთანავე, პ. კარბელაშვილი წყაროს გარეშე ასახელებს კიდევ ორ მღვდელმთავარს: **მარკოზ** – 1752-1761 წწ. **(დედაბრისშვილი)** და **გერმანე** – 1766-1775 **(ქარუმიძე).**[103] ამ წლებში, მათი სამთავისის კათედრაზე მოღვაწეობა საისტორიო წყაროებით არ დასტურდება, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასეთი ფაქტები ვერსად მოვიძიეთ.

ამრიგად, ჩვენი თვალსაზრისით, XVIII საუკუნის სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი დაახლოებით ასე გამოიყურება:

იოსებ (ყანჩაველი) – 1680-იანი წლების ბოლოდან – 1699 წლამდე და შემდეგ – 1713 წელი (სავარაუდოდ, XVIII ს. 20-იან წლებამდე).

[100] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 140.
[101] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 258.
[102] Д. Пурцеладзе. Грузинские церковные гуджари (грамоты), გვ. 51-52.
[103] სეასცა. ფონდი 1461. საქმე 17.

კვიპრიანე (არაგვის ერისთავის ძე) – 1699-1712 წწ.

პართენ – 1720-იანი წლები.

ქრისტეფორე (ფალავანდიშვილი) – სავარაუდოდ, XVIII ს. 20-30-იან წლებს შორის – (?) (XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის 10-იან წლებში ქრისტეფორე ქართლის მთავარეპისკოპოსია. 1719 წელს ქვათახევის წინამძღვარი).

ათანასე (ამილახვარი) – სავარაუდოდ, XVIII ს. 20-იანი წლების ბოლოდან 1735 წ-მდე.

ზებედე – 1738-1739 წწ.

. . . . .

ბენედიქტე (ბენედიკტე) – 1747-1759 წწ. (XVIII ს. 40-50-იანი წლები).

ფილიპე (გურამიშვილი) – 1762 წ.

გიორგი (ქარუმიძე), კანდელაკი – XVIII ს. 60-იანი წწ.

არსენ (საყვარელიძე) – XVIII ს. 60-იანი წლების ბოლოდან 70-იანი წლების დასაწყისი (მანამდე, 30-40-იან წლებში ის ქართლის მთავარეპისკოპოსია).

პაისიოს (გარსევანიშვილი) – 1776-1787 წწ. (XVIII ს. 70-80-იანი წლები, შემდეგ – 1787-1801 წწ. ქართლის მთავარეპისკოპოსი).

იულიოს – 1787-1789 წწ. (XVIII ს. 80-იანი წლების ბოლო).

მიხაილ – 1790 წელი.

იოანე (ქარუმიძე) (სამთავნელი, (?) წლები უცნობია, შემდეგ – 1802-1803 წწ. ქართლის მთავარეპისკოპოსი) – (გარდ. 1804 წ.).

გერვასი (მაჭავარიანი) – 1791-1817 წწ. (გარდ. 1817 წ.).

Maia Shaorshadze
Senior Researcher,
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

CHRONOLOGICAL SEQUENCE OF SAMTAVISI BISHOPS IN 18TH CENTURY

Summary

Holy Priest Polievktos Karbelashvili made great contribution to identification of the chronological sequence of Samtavisi Bishops of 18th century, though his unpublished lists require comparison and more accurate specification.

In late 17th-early 18th centuries, two bishops ruled Samtavisi Cathedra – Ioseb Kanchaveli and Kvipriane Samtavneli (from the family of Aragvis Eristavi). The studies showed that Kvipriane ruled the cathedra in 1699-1712 and Ioseb Kanchaveli – from 1680 to 1699 and further – in 1713 (in the work published by G. Jandieri, the latest chronological limit for Ioseb Kanchaveli is 1699, but in the document of 1713, he is again mentioned as Samtavneli).

Other Samtavneli bishops were: Parthen – 1720s, Christephore (Palavandishvili) – (probably between 20s and 30s of 18th century) and Athanase – from late 20s of the 18th century to 1735.

In the present article the issue of identity of Parthen Samtavneli and Parthen (Parthenoz) Kharchashneli was studied. It became clear that these two bishops performed their activities at different cathedrae, in different periods of the 1st half of 18th century. As for Parthen Samtavneli, ethnically Greek, he arrived to Georgia where he stayed and continued his activities there.

In addition, with the help of a document unknown before, found in the National Archive of Georgia, it became evident that in late 30s of 18th century, Samtavisi Cathedra was ruled by Zebede Samtavneli (1738-1739) while the other historical sources say nothing about this. Later annexes on the same deed show that Arsen Sakvarelidze was Bishop of Samtavisi as well.

Chronological sequence of the 2nd half of 18th century therefore was as follows: Benedict (Benedikte) – 1747-1759, Philipe (Guramishvili) – 1762,

Giorgi (Karumidze), Kandelaki – 60s of 17th century, Arsen (Sakvarelidze) – from late 60s of 18th century to early 70s, Paisios (Garsevanishvili) – 1776-1787, Iulios – 1787-1789, Mikhail – 1790, Ioane (Karumidze), date is uknown (Samtavneli and further Archbishop of Kartli, deceased in 1804) and Gervasi (Machavariani) – 1791-1817.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

ზაზა აბაშიძე
დირექტორი,
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ვლადიმერ კეკელია
მეცნიერ-თანამშრომელი,
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

რამდენიმე დოკუმენტი იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან*

ქ. სანქტ-პეტერბურგში, რუსეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ იოანე ბატონიშვილის კოლექციაში – ფონდი 941 (фонд 941 оп. 2) 157 ერთეული ინახება. მათ შორის 4 ერთეული (№154-157) ქართული ხელნაწერების შესახებ არსებული აღწერილობებია, 47 ერთეული (№107-153) სხვადასხვა, შერეული ტიპის მასალაა: ლექსები, რეცეპტები, თხზულებები, ამონაწერები. საკუთრივ დოკუმენტური მასალა 106 ერთეულია (№1-106).

დოკუმენტებს შორის წარმოდგენილია როგორც იურიდიული აქტები, ასევე ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელთა პირადი მიმოწერა. აღნიშნული მასალა ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი წლების ისტორიის შესასწავლად პირველხარისხოვან წყაროებს წარმოადგენს.

დოკუმენტებზე მუშაობის საბოლოო მიზანი რუსეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების კორპუსის პუბლიკაციაა.

* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (FR-22-24246) „რუსეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში საქართველოს შესახებ დაცული დოკუმენტების კორპუსი“-ს ფარგლებში.

წინამდებარე ნაშრომში რამდენიმე მათგანს წარმოავდგენთ.

№45 (941-2) დარეჯან დედოფლის წერილი გრაფ [პანინს]. სთხოვს უშუამდგომლოს იმპერატორთან ქართლ-კახეთის სამეფოზე მისი შვილების უფლებების დამტკიცების თაობაზე.


„ბრწყინვალეო გრაფო

მოწყალეო ხელმწიფევ

გერმან ჩემმან მეფემან საქართველოისამან გიორგი ირაკლის | ძემან სამართალი მემკვიდრეობის ძმათა ზედა ჩამოსარიგებელი ნეტარ|სახსოვრისა მეფისა მეფისა მეუღლისა ჩემისაგან ძეთადმი თვისთა| დატოვებულ, თვითხსენებული სამეფისა გიორგისაგან დამტკიცებულ, | მოშალა და ჩვენის მალვით დიდებულ სხელმწიფესთან მემკვიდრ|ეობა ძესა თვისსა დავითს გაურიგა: –აწ ზემოხსენებულ მეფე | სასტიკ სასნეულებასა შინა იმყოფება დამეშინის რათა ზედხსენებუ|ლ სამართალ ძეთა ჩემთა არა დაეკარგოს, და საქმესა ამას ზედა გავბედე| ყ(ოვლა)დ უკნინესისა არზისა ჩემისა მორთმევა **მისის იმპერატორ|ების დიდებულებისადმი**; რომელცა წერილსა ამასთან ამიახლ|ებია ბრწყინვალებისა თქვენისათვის. და რადგან კეთილსულობა | თქვენი შორიდან მიცნიეს, და ესევითარნიცა საქმენი თანამდებობასა | თქუენსათვის ეყვიან, ამისთვის გთხოვთ რათა აღირჩიოთ ჟამი | კეთილ, და უკნინესი არზი ესე ჩემი მათს **დიდებულებას** მიმი|რთოთ, და კეთილსა დროსა მოწყალებითი საპასუხისა გამოსატანი| შუამდგომელობაცა თქუენი არა დაუტევოთ, რომლითაცა შეკრულ| მვყოფ მე და ძეთა ჩემთა სამარადისოდ ერთგულებისადმი თქვ|ენისა“.

აგვისტოს, 25 დღესა
1800 წელსა
ტფილისს


თქვენის ბრწყინვალებისა
მოწყალისა ხელმწიფისა
სამსახურის მოწადე
საქართველოს დედოფალიდარია
[ახლავს ბეჭედი]



წერილის თანახმად დარეჯან დედოფალი ქართლ-კახეთის სამეფო ტახტიდან დავით გიორგის ძის ჩამოშორებას ცდილობდა, დახმარებას კი რუსეთს იმპერატორს სთხოვდა.

პარალელურად მოქმედებდა უფლისწული დავითიც. 1801 წლის 10 იანვრით დათარიღბულ წერილში **(№69 (941-2 წერილის პირი))** იგი სერგეი ლაზარეს ძე ლაშქარევს წერდა:

„... ბიძა ჩემებს წიგნი აქვსთ გაკეთებული კნორინგის სახელზედ. დადიან ქართლის ხალხს აფიცებენ... ბუნტობენ. რადგან ეს ქვეყანა იმპერატორს შესწირა მამა ჩემმა, ახლა თქვენ უნდა იზრუნოთ ამის წახდენისთვისაც და გაკეთებისთვისაც. წყალობას ვითხოვ უბრძანოთ აქ მყოფ ღენერალს ეს ბუნტი დააცხროს და დამიჯეროს ხოლმე კიდეც...“



ქართლ-კახეთიდან გაგზავნილი მსგავსი შინაარსის წერილების პასუხად პეტერბურგიდან გიორგი XII ქვრივის, დედოფალ მარიამის სახელზე წერილი გამოგზავნეს **(№3 (941-2))**.


«Светлейшая Царица Мария Георгиевна!

Известясь о кончине любезнаго Супруга Ва|шего Его Высочества Царя Георгия Ираклиевича | и Всемилостивейше входя въ оное печальное | ваше положение, обещаем вам продолжение | Нашей Императорской милости и доставле|ние пристойнаго Вашему Высочеству благоден|ственнаго состояния, которое не оставим Ее | на самом деле изъявить по возвращении | ко двору Нашему Князей Авалова и Палаван|дова. В чем уверяя Ваше Высочество |

пребываем Нашею Императорскою милос|тию благосклонны. Павел

С. Петербург

Январь 19 дня 1801 года».



მარიამ დედოფლისადმი გამოგზავნილი წერილით იმპერატორმა პავლემ უფლიწულ დავით გიორგის ძისა და დედოფალ დარეჯანის თხოვნების ღია იგნორიება მოახდინა, მით უმეტეს, რომ იმავე წლის 18 იანვარს უკვე გამოცემული იყო 16 თებერვალს თბილისში წაიკითხული მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან მიერთების შესახებ, რომლის აღსრულებასაც ხელი იმპერატორის გარდაცვალებამ შეუშალა.

Zaza Abashidze
Director,
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

Vladimer Kekeklia
Researcher,
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

SEVERAL DOCUMENTS FROM THE COLLECTION OF PRINCE IOANE BAGRATIONI

Summary

The collection of Prince Ioane of Georgia, stored in the Russian National Library in St. Petersburg – collection 941 (фонд 941 оп. 2), contains 157 units. Of these, 4 units (No. 154-157) are descriptions of Georgian manuscripts, 47 units (No. 107-153) are various, mixed types of materials: poems, recipes, essays, extracts. The documentary material itself makes up 106 units (No. 1-106).

The documents include both legal acts and personal correspondence of representatives of the Bagrationy dynasty. The mentioned material is an important source for studying the history of the last years of the Kartli-Kakheti Kingdom. The final goal of the work on the documents is the publication of the corpus of documents on Georgia stored in the Russian National Library.

In the presented work we publish some of them.

- №45 (941-2) Letter from Queen Darejan to Count [Panin]. She asks him to address the Emperor directly regarding the confirmation of his children's rights to Kartli-Kakheti Kingdom;
- №69 (941-2) Letter from Prince David to Sergei Lazarevich Lashkarev about his uncles, the sons of Tsar Irakli II, wanting to raise an uprising among the people;
- №3 (941-2) Letter from Emperor Paul I to Kartli-Kakheti Queen Mariam dated January 19, 1801.

By sending a letter to Queen Mariam, Emperor Paul openly ignored the requests of Prince David and Queen Daredjani. On January 18, 1801, a manifest on the annexation of Kartli-Kakheti Kingdom to Russia was already published, which was read in Tbilisi on February 16. The manifest did not enter into force due to the death of Emperor Paul I.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

ალექსანდრე ბოშიშვილი
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

„უზაფხულო წელიწადი“ ევროპაში – გერმანიიდან კავკასიაში ხალხის გადმოსახლების ერთ-ერთი მიზეზი

გერმანელების მიერ XVIII და განსაკუთრებით XIX საუკუნეში სამშობლოს დატოვებასა და შორს გადასახლებას, თავისი პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური და პირადი მიზეზები განაპირობებდა.[1] იმდროინდელ გერმანულ სახელმწიფოებს ყოველწლიურად ათასობით ადამიანი ტოვებდა. ისინი ამერიკასა და რუსეთში მიემგზავრებოდნენ.[2]

რუსეთის იმპერიაში გერმანელების გადასახლებას ხელი შეუწყო იმპერატრიცა ეკატერინე II-ის (1762- 1796 წწ.) 1762 და 1763 წელს გამოცემულმა სპეციალურმა მანიფესტებმა,[3] რომელთა მიხედვითაც, რუსეთში უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან იწვევდნენ ხალხს და მიწასა და მეურნეობის მოწყობაში დახმარებას ჰპირდებოდნენ. მალე მდინარე ვოლგასთან პირველი გერმანული დასახლებაც გაჩნდა. გერმანელებთან ერთად

[1] დაწვრილებით, იხ. K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862, Published by American Historical Society of Germans from Russia. Lincoln, Nebraska. 1982, გვ. 24-29 და სხვ.

[2] კავკასიაში გერმანული კოლონიები ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი მკვლევრის ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა. გერმანელების კოლონიებისა და მათი ყოფის შესახებ ნაშრომები ეკუთვნით: პაატა გუგუშვილს, გურამ მანჯგალაძეს, ავთანდილ სონღულაშვილს, ლევან ბრეგაძეს, გელა სულაძეს და სხვ. ქართველ ავტორებთან ერთად უნდა დასახელდეს უცხოელი ავტორებიც, რომელთაც კავკასიაში გერმანელების დასახლებისა და შემდგომი ბედის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები და დაკვირვებები აქვთ: ფრიდრიხ პეროტი, კარლ შტუმპი, პიოტრ ბასიხინი, სუდაბა ზეინალოვა, დაფნე შპრინგჰორნი და სხვ. დასახელებული ავტორების ნაშრომებში ამ ვრცელი საკითხის შესახებ შესაძლებელია ამომწურავი მასალის მოძიება.

[3] იხ. Полное собрание законов Российской империи. С 1649 года. Т. XVI. С 28 июня 1762 по 1764. СПб. 1830, №11720, გვ. 126; №11880, გვ. 313.

რუსეთში მიდიოდნენ ფრანგები, შვეიცარიელები, ჰოლანდიელები. რუსეთის იმპერიაში დასახლების მსურველებს ხელისუფლება გარკვეულწილად პრივილეგირებულ მდგომარეობაში ამყოფებდა. ახლად დამკვიდრებულ ე.წ. კოლონისტებს სახელმწიფო ფონდიდან ეძლეოდათ მიწა, მეურნეობის მოსაწყობად ბიუჯეტიდან გამოეყოფოდათ საკმაო თანხები, მათზე არ ვრცელდებოდა რუსეთის იმპერიაში არსებული ბატონყმობა, 100 წლის განმავლობაში გათავისუფლებული იყვნენ სამხედრო ვალდებულებისგან და სხვ.[4]

მეცნიერთა ნაწილი გერმანელების ამიერკავკასიაში გადმოსახლებას უფრო მეტად უკავშირებენ ნაპოლეონის ომებს, რომელთა დიდი ნაწილი გერმანიის ტერიტორიაზე წარმოებდა და ნადგურდებოდა ქვედა ფენები განსაკუთრებით და მათი მეურნეობა, ამან კი, მეცნიერების აზრით, ხელი შეუწყო ადგილობრივ მოსახლეობის აყრას და სამშობლოდან შორს გადასახლებას. პროფ. გურამ მანჯგალაძე მიიჩნევს, რომ გერმანელების მიერ სამშობლოს დატოვების მიზეზი არა ნაპოლეობის ომები, არამედ კაპიტალიზმის განვითარება იყო, რაც „გლეხთა მასების გაღატაკებას“ იწვევდა, ამის დასადასტურებლად იგი იმოწმებს ფაქტს, რომ გერმანიიდან ხალხის მასობრივი გადასახლება ნაპოლეონის ომებამდეც ინტენსიურად მიმდინარეობდა.[5] მეცნიერი დაწვრილებით აღწერს, გერმანიაში კაპიტალიზმის განვითარების მისეულ ხედვას და ბოლოს აღნიშნავს, რომ – გერმანიაში „კაპიტალიზმის განვითარება ფეოდალურ საბურველში იყო გახვეული“.[6] გერმანიაში კაპიტალიზმი ვითარდებოდა არა ფეოდალიზმთან გადამწყვეტი ბრძოლისა და ამ უკანასკნელის მოსპობის გზით, არამედ ამ დრომოჭმულ წყობილებასთან პატარ-პატარა შეტაკებებისა და მასთან შეგუების გზით.[7]

პიეტისტები და „სეპარატისტები“

ნაპოლეონის ლაშქრობებმა მართლაც მთელი გერმანია გააღატაკა, მათ შორის, ყველაზე მეტად ვიურტემბერგის სამეფო, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის, შვაბების, ეკონომიკური გაჭირვების პარალელურად

[4] იხ. K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862; ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში. თბ. 1995, გვ. 4-5; ალ. ბოშიშვილი. ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა). თბ. 2024, გვ. 213-214.

[5] გ. მანჯგალაძე. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში. თბ. 1974, გვ. 12.

[6] გ. მანჯგალაძე. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, გვ. 13.

[7] გ. მანჯგალაძე. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, გვ. 13.

ლუთერანულ ეკლესიაში წარმოქმნილი რელიგიური სექტებიც გააქტიურდნენ. მათ შორის იყო პიეტისტების“ ჯგუფი.

პიეტიზმი (ლათ. *pietas* – თანაგრძნობა, ღვთისმოსაობა) XVII საუკუნეში პროტესტანტიზმის წიაღში ჩამოყალიბდა. გერმანიაში მოძრაობას საფუძველი ფილიპ იაკობ შპენერმა (1635-1705) ჩაუყარა, მან 1670 წელს *Collegia pietatis* ჩამოაყალიბა: ეს იყო საერო პირების ჯგუფები, რომლებიც ახალი აღთქმის შესწავლისა და ურთიერთგანვითარების მიზნით იკრიბებოდნენ. შპენერის იდეალი იყო აქტიური, ბეჯითი (*pietas*), მკაცრ ზნეობაზე დამყარებული ქრისტიანობა. 1675 წელს გამოქვეყნდა მისი ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულება “*Pia desideria”* ანუ ჭეშმარიტი, სახარებისეული ეკლესიის ცხოველი სწრაფვა ღმრთისათვის სასურველი გაუმჯობესებისაკენ“. ნაწარმოებში შპენერი ლუთერული ეკლესიის ნაკლოვანებებს (მოჭარბებული ბიუროკრატია, უთანხმოებები, ქონების უსამართლო განაწილება და სხვ.) ამხელდა და მათი გამოსწორების შესაძლო გზებს მიუთითებდა: ბიბლიის მეტად ფართოდ გავრცელება, საყოველთაო მღვდელმსახურების აღდგენა (საეროების თანამშრომლობა მოძღვრებთან), მწვავე პოლემიკაზე უარის თქმა, ქრისტიანულ სათნოებათა დამკვიდრება, მოძღვრების შესწავლა და სხვა. პიეტიზმს, როგორც „განახლების“ მოძრაობას, განცალკევებული ეკლესიები არ შეუქმნია, ეს იყო მრავალი დინებისა და მიმართულების მომცველი მოძრაობა.[8]

პიეტისტები ვერც სასულიერო და ვერც საერო ხელისუფლებასთან საერთო ენას ვერ პოულობდნენ. მალე, პიეტისტებს შორის უფრო რადიკალური მიმართულებები გაჩნდა. შიდა დაპირისპირების შედეგად წარმოიქმნა თავისი აქტიურობით გამორჩეული ე.წ. „სეპარატისტების“ ჯგუფი.[9] გერმანიაში XIX საუკუნეში გააქტიურებული რელიგიური მოძრაობები, განსაკუთრებით კი პიეტისტების „სეპარატისტები“, ხელისუფლებისგან სასტიკად იდევნებოდნენ.

პიეტისტების მოძრაობა ყველაზე მეტად ვიურტემბერგში, ბადენში, ბავარიასა და შვეიცარიაში იყო გავრცელებული. ისინი ფიქრობდნენ, რომ მოახლოვებული იყო სამყაროს აღსასრული. ამის შესახებ ჯერ კიდევ

[8] იხ. პ. პეტროზილო. ქრისტიანობის ლექსიკონი. იტალიურიდან თარგმნა მარიკა სააკაშვილმა. რედ. მერაბ ღაღანიძე (სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი. ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი). თბ. 2011, გვ. 434; ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში, გვ. 4-5; და სხვ

[9] იხ. ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში, გვ. 4-5; ლ. ბრეგაძე. მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე. თბ. 2010, გვ. 7.

იოჰან ალბრეჰტ ბენგელი (1687-1752 წწ.) და სხვები ქადაგებდნენ. პიეტისტების აზრით, გერმანელებისთვის თავის გადარჩენა სამშობლოდან შორს იყო შესაძლებელი, იერუსალიმში, ან კავკასიაში, არარატის მთასთან ახლოს, იმ ადგილას, სადაც ნოეს კიდობანი გაჩერდა.[10] ამასთან, ნაპოლეონის ომებისგან შეწუხებულნი, ისინი ნაპოლეონს „ანტიქრისტედ“ და „შავ ანგელოზად“ მიიჩნევდნენ, რომელიც უპირისპირდებოდა „თეთრ ანგელოზს“, რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I-ს. 1815 წელს ნაპოლეონის ელბადან დაბრუნება ახალ ბრძოლებს მოასწავებდა და, ბუნებრივია, „სეპარატისტებში“ დიდ შეშფოთებას იწვევდა ეს ყველაფერი.[11]

სწორედ მსგავსი ქადაგებები და, ამასთანავე, ხელისუფლების მიერ მათი შევიწროვება გახდა რუსეთის იმპერიასა და ამერიკაში მასობრივი მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი. „სეპარატისტებმა“ გადმოსახლებამდე კავკასიაში სპეციალურად მიავლინეს თავიანთი წარმომადგენლები, რომელთაც მათი დასახლებებისთვის ხელსაყრელი ადგილების შერჩევა ჰქონდათ დავალებული.[12]

ვულკან ტამბორას ამოფრქვევა და მისი შედეგები

სამყაროს მოახლოვებული აღსასრულის შესახებ ქადაგებებს დაემატა 1816 წლის მოუსავლიანი წელი ევროპაში და სურსათის დიდი კრიზისი. 1816 წლის ზაფხული განსაკუთრებულად ცივი გამოდგა დასავლეთ ევროპისა და ამერიკისთვის. ივნისში, ივლისსა და აგვისტოშიც კი თოვდა. შესაბამისად, ვერ მოხერხდა ვერც მიწის დამუშავება და ვერც მოსავლის მოყვანა. მოუსავლიანობამ ფასების თითქმის ათჯერ გაძვირება გამოიწვია, რასაც შიმშილი და სხვადასხვა დაავადებების გავრცელებაც მოჰყვა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს ყველაფერი 1815 წლის აპრილში ინდონეზიაში ვულკან ტამბორას ამოფრქვევას უკავშირდება, რის შედეგადაც ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა რამდენიმე თვეში ტონობით ვულკა-

[10] იხ. U. Gäbler. Johann Albrecht Bengel und seine Nachwirkungen. In: Martin Brecht: Geschichte des Pietismus. Vandenhoeck & Ruprecht. Göttingen. 2000, გვ. 33- 36; ასევე, პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. მონოგრაფიები. ტ. I. თბ. 1949, გვ. 670; Т. Чернова-Дѐке. Позиция и роль А. П. Ермолова в становлении немецких колоний в Закавказье. Отечественая история. М. 2008, №1, გვ. 21; Т.Н. Чернова-Дѐке. Немецкие поселения на Кавказе. 1816–1914 гг. «Вопросы истории». 2010. №3. გვ. 92–105.

[11] გ. მანჯგალაძე. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, გვ. 22; იხ. ასევე, K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862, გვ. 28.

[12] П. Басихин. Немецкия колонии на кавказе. «Кавказский вестник». Ежемесячный научно-литературный журнал. №1. Тб. 1900, გვ. 14; ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში, გვ. 4-5.

ნური ფერფლის ხშირმა ღრუბელმა და ფარა. დამყარდა ე.წ. „ვულკანური ზამთარი“. 1816 წელს „უზაფხულო წელსაც“ ეძახიან.[13]

რუსეთის იმპერიაში, მათ შორის კავკასიაში, გერმანელების გადასახლების შესახებ დაწვრილებით საუბრობს კარლ შტუმპი, იგი აღნიშნავს, რომ ხალხის გადასახლების ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ 1816 წლის ცივი და მოუსავლიანი წელი იყო. იგი მოვლენას უფრო ეკონომიკურ ნაწილზე აკეთებს აქცენტს. მოვლენამ რომ გავლენა მოახდინა სამშობლოს დატოვების შესახებ გერმანელების გადაწყვეტილებაზე, ეს ხაზგასმულია. თუმცა არ არის აღნიშნული მოუსავლიანი წლის გამომწვევი მიზეზის შესახებ. ასევე, კარლ შტუმპი არ მიუთითებს, თუ რამდენად შეიძლებოდა რელიგიური კუთხით გამხდარიყო ეს მოვლენა ხალხისთვის სამშობლოს დატოვების მიზეზი. კარლ შტუმპი აღნიშნავს, რომ ცუდმა ამინდებმა 1816 წელს გამოიწვია მოსავლის დიდი დეფიციტი და უკმარისობა. პირუტყვის ორი მესამედი ან დაიღუპა ან საკვებად გამოყენების მიზეზით დაკლეს. ხალხი პურის გამოსაცხობად იყენებდნენ ხის ქერქებს, ჩალასა და ქატოს. გაჭირვებული მოსახლეობა ბალახსა და თივას ხარშავდა და იმას ჭამდა.[14] დრამატულად არის აღწერილი, მთელი წლის შესახებ, შტუმპი აღნიშნავს, რომ – 1816 წელს *„ამინდი იყო არანორმალურად ცუდი და დამანგრეველი. ახალი წლის დღეებში ისე ცხელოდა, როგორც ზაფხულში. ხოლო მარტში ისეთი ჭექა-ქუხილი იყო, როგორც ივნისში. მაისში ისე ციოდა, როგორც თებერვალში ცივა ხოლმე. ჭები ისე იყო გაიყინა, რომ წყალი ვერ მოიპოვებოდა. ივნისში დაიწყო წვიმა, რომელიც არ დასრულებულა და მთელი მარცვალი მინდორში დალპა. ივლისში სეტყვამ ყველაფერი გააფუჭა...“* და აშ.[15]

გადასახლებისთვის მზადება

შექმნილმა სურათმა, როგორც ჩანს, გერმანელებში კიდევ უფრო გაამძაფრა სამშობლოს დატოვების სურვილი, ამ საქმეში მათ რუსეთის იმპერატორის დახმარების იმედი ჰქონდათ. „სეპარატისტების“ გადასახ-

[13] ამ მოვლენის ახსნა XX საუკუნის დასაწყისში ამერიკელმა ფიზიკოსმა და ატმოსფეროს მკვლევარმა უილიამ ჰამფრისმა მოახერხა (იხ. W. J. Humphreys. Volcanic dust and other factors in the production of climatic changes, and their possible relation to ice ages. Bull. Mount Weather Obs. №6, 1913, გვ. 1-34; Tambora and the “Year Without a Summer” of 1816. A Perspective on Earth and Human Systems Science. Oeschger Fentre for Flimate Fhange Research. Institute of Geography, University of Bern, Switzerland. 2016.

[14] K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862, გვ. 28.

[15] K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862, გვ. 28.

ლებას მხარს უჭერდა ვიურტემბერგის მეფე ფრიდრიხ I-ც (1806-1816 წწ.). მან რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I-ს (1801-1825 წწ.) სთხოვა, „სეპარატისტებისთვის“, რომელიც ოფიციალურ ეკლესიას განუდგნენ და არეულობის მიზეზი იყვნენ, რუსეთის იმპერიაში დასასახლებელი ადგილი გამოეძებნა. ალექსანდრეც დაჰპირდა, რომ მათ რუსეთის იმპერიის ტერიტორიებზე დაასახლებდა.[16]

ამ პროცესების პარალელურად საქართველოდან ალექსი ერმოლოვმა 1816 წლის 31 დეკემბერს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო მრჩეველს, კოზოდავლოვს, მიმართვა გაუგზავნა, რომლის მიხედვითაც, ის რუსეთის იმპერიის ტერიტორიებიდან საქართველოში 30 გერმანელი ოჯახი ჩამოსახლებას ითხოვდა. რუსეთის საიმპერატორო კარი, როგორც ჩანს, იმედოვნებდა, რომ გერმანელები უკეთ დაამუშავებდნენ მიწას, განვითარდებოდა მეურნეობის სხვადასხვა დარგი, რითაც სახელმწიფო ხაზინის შემოსავალიც გაიზრდებოდა.[17]

გერმანელების კავკასიაში დასახლება

გერმანიაში რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გადასახლების მსურველები ქალაქ ულმში იკრიბებოდნენ, მალე შვიდი ათასი ადამიანი შეგროვდა. სანამ ისინი ჩამოსახლებაზე რუსეთის იმპერატორის ოფიციალურ დასტურს ელოდნენ, „სეპარატისტების“ წარმომადგენლებმა რუსეთის საკონსულოსაც მიმართეს. კონსულმა პასუხისთვის მოცდა ურჩია, მაგრამ გადმოსახლების მსურველ გერმანელთა ერთი დიდი ნაწილი რუსეთის ხელისუფლების ოფიციალურ ნებართვას აღარ დაელოდა და 1817 წელს კავკასიისკენ გამოემართა. მათი მგზავრობის აჩქარებას რელიგიურმა შეხედულებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. რუსეთის კონსულმა გერმანელებს ხმელეთის გზით მგზავრობა ურჩია, მაგრამ მათ მდინარე დუნაი არჩიეს, რადგან მგზავრობა ასე უფრო იაფი ჯდებოდა.[18] რეგენ-

[16] იხ. П. Басихин. Немецкия колонии на кавказе, გვ. 14; პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, გვ. 670; ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში, გვ. 4-5; ლ. ბრეგაძე. მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე, გვ. 8.

[17] Акты, собранные Кавказской археографической комиссией (АКАК). Архив главного управления Наместника Кавказа. Издан под редакцией председателя комиссии дсс. А. Д. Берже. Том VI. Часть I. Тифлис, 1869, გვ. 313.

[18] შ. ქუთიძე. ქვემო ქართლში გერმანელთა ახალშენების ისტორიის საკითხისათვის. „მაცნე“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო. №4. თბ. 1967, გვ. 113; იხ. ასევე, K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the years 1763 to 1862.

სბურგის, ვენისა და ბელგრადის გავლის შემდეგ გერმანელები ქალაქ იზმაილში მივიდნენ, სადაც 40 დღე გაჩერდნენ. იზმაილიდან ქალაქ ოდესაში გადავიდნენ და იქ ელოდებოდნენ იმპერატორის ნებართვას კავკასიაში გამოსამგზავრებლად.[19]

საბოლოოდ, საქართველოს მთავარმართებელს, გენერალ ალექსი ერმოლოვს დაევალა, რომ გერმანელები ქალაქ ოდესიდან საქართველოში ნაწილ-ნაწილ გადმოეყვანა და სადაც მოისურვებდნენ იქ დაესახლებინა. პარალელურად საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა მათი დასასახლებელი ადგილების შერჩევა. დადგინდა გერმანელების სამგზავრო მარშრუტიც, რომელიც ხმელეთის გზით წარიმართა: ოდესა – ხერსონი – ტაგანროგი – როსტოვი – გეორგიევსკი – მოზდოკი – თბილისი. მგზარობის ეს მიმართულება გენერალმა ინზოვმა შეარჩია.[20] დაახლოებით სამთვიანი მგზავრობის შემდეგ, გერმანელებმა საქართველომდე მოაღწიეს.

1817-1820 წლებში ჩამოსახლებული კოლონისტების 53% გადმოსახლების მიზეზად შიმშილს ასახელებდა. მხოლოდ 21% – რელიგიურ ოცნებებს, დანარჩენებმა კი შრომის მოწყობის უკეთესი პერსპექტივები დაასახელეს. ამ მაჩვენებლითაც ნათელია, რომ გერმანიის დატოვების უპირველესი მიზეზი, სწორედ „უზაფხულო წელიწადის“ მიერ გამოწვეული შიმშილი და ეკონომიკური გაჭირვება იყო.

პირველი კოლონიები საქართველოში

რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, საქართველოს გუბერნიაში (რუს. «Грузинская губерния»), რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს გარდა, მოიცავდა განჯის მხარესაც, საწყის ეტაპზე 1817-1820 წლებში ვიურტემბერგიდან გადმოსულმა გერმანელებმა რვა[21] დასახლება მოაწყვეს – ალექსანდერსდორფი, ანენფელდი, ელისაბეთთალი, ჰელენენდრორფი, კატერინენფელდი, მარიენფელდი, პეტერსდორფი და ნოიტიფლისი.[22]

[19] იხ. პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, გვ. 670-671; შ. ქუთიძე. ქვემო ქართლში გერმანელთა ახალშენების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 113; ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში, გვ. 6. АКАК. Том VI. Часть I, გვ. 317; და სხვ.

[20] АКАК. Том VI. Часть I, გვ. 316, 320-321

[21] აქედან ორი (ელენენდორფი და ანენფელდი) განჯის მაზრაში.

[22] K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862, გვ. 99, 942-951; ალ. ბოშიშვილი. ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა), გვ. 221-234.

ამრიგად, გერმანელების კავკასიაში გადმოსახლებას არაერთი მიზეზი განაპირობებდა, მათ შორის უმთავრესი კი ეკონომიკური სიდუხჭირე იყო. 1816 წელს ევროპაში გამოწვეული შიმშილი კი ნაპოლეონის ომების გარდა, ვულკან ტომბორას ამოფრქვევამ და ამის გამო შექმნილმა კლიმატურმა ცვლილებებმა მოიტანა, კონკრეტულად კი ამით გამოწვეული „უზაფხულო“ და მოუსავლიანი წელი იყო.

Aleksandre Boshishvili
Assistant Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

"YEAR WITHOUT A SUMMER" – ONE OF THE PROBABLE REASONS FOR THE EMIGRATION OF PEOPLE FROM GERMANY TO THE CAUCASUS

Summary

The Germans left their homeland and emigrated far away in the 18th and especially the 19th centuries for political, religious, economic and personal reasons. Thousands of people left the German states of that time every year. They went to America and Russia.

The emigration of Germans to the Russian Empire was facilitated by special manifestos issued by Empress Catherine II (1762-1796) in 1762 and 1763. People from various foreign countries were invited to Russia and promised assistance in land and farming. Soon the first German settlement appeared on the Volga River. Along with the Germans, the French, Swiss, and Dutch came to Russia. The authorities placed those wishing to settle in the Russian Empire in a somewhat privileged position. The newly settled colonists were given land from the state fund, and sufficient funds were allocated from the budget for farming. They were not subject to serfdom in the Russian Empire, and were exempted from military service for 100 years, etc.

Napoleon's campaigns impoverished all of Germany, including the Kingdom of Württemberg. Where, in parallel with the economic hardship of the local population (the Swabians), religious sects that emerged in the Lutheran Church also became active. Among them was the "Pietist" group.

The Pietists could not find common ground with either the clerical or secular authorities. Soon, more radical trends emerged among the Pietists. As a result of internal conflict, a group of so-called "separatists" emerged, distinguished by their activity. Religious movements that became active in

Germany in the 19th century, especially the “separatists” of the Pietists, were brutally persecuted by the authorities.

The Pietist movement was most widespread in Württemberg, Baden, Bavaria, and Switzerland. They believed that the end of the world was near.

According to the Pietists, the only way for Germans to save themselves was far from their homeland, in Jerusalem, or in the Caucasus, near Mount Ararat, where Noah’s Ark had come to rest. They were also troubled by the Napoleonic Wars. They saw Napoleon as the “Antichrist” and the “Black Angel” who opposed the “White Angel”, the Russian Emperor Alexander I. Napoleon’s return from Elba in 1815 would herald new battles, and naturally this caused great concern among the “separatists”.

The preaching of the end of the world was supplemented by the poor harvest of 1816 in Europe and a great food crisis. The summer of 1816 was exceptionally cold for Western Europe and America. It even snowed in June, July, and August. Consequently, it was impossible to cultivate the land or grow crops. The poor harvest caused prices to increase almost tenfold, which led to famine and the spread of various diseases. As it turned out later, all this was connected with the eruption of the Tambora volcano in Indonesia in April 1815. As a result, Europe and North America were covered with a dense cloud of tons of volcanic ash for several months. The so-called “volcanic winter” was established. 1816 is also called the “Year Without a Summer”.

Karl Stumpp talks in detail about the emigration of Germans in the Russian Empire, including the Caucasus. He notes that one of the reasons for the emigration of people was the cold and bad year of 1816. He focuses on the economic aspect of the event. It is emphasized that the event influenced the decision of the Germans to leave their homeland. However, the cause of the bad year is not mentioned. Karl Stumpp writes that the bad weather in 1816 led to a large shortage and failure of the harvest. Two-thirds of the livestock either died or were slaughtered for food. People used tree bark, straw and bran to bake bread. The impoverished population boiled grass and hay and ate it. He describes the whole year in a dramatic way, Stumpp notes that in 1816 “the weather was abnormally bad and destructive. On New Year’s Day it was as hot as in summer. And in March there were thunderstorms like in June. In May it was as cold as in February. The wells were so frozen that water could not be obtained. In June it began to rain, which did not end and all the grain rotted in the fields. In July hail spoiled everything...” and so on.

In Germany, those wishing to emigrate to the territory of the Russian Empire gathered in the city of Ulm, and soon seven thousand people gathered.

In 1817-1820, 53% of the colonists who settled in the years 1817-1820 named hunger as the reason for their emigration. Only 21% - religious dreams, and the rest named better prospects for finding work. This indicator also makes it clear that the primary reason for leaving Germany was precisely the hunger and economic hardship caused by the "Year Without a Summer".

The first colonies in Georgia:

According to the administrative division of the Russian Empire, the Georgian Governorate (Russian: «Грузинская губерния»), in addition to Eastern Georgia, also included the Ganja region. In 1817-1820, Germans who migrated from Württemberg founded eight settlements (Colonia) – Alexandersdorf, Annenfeld, Elisabethtal, Helenendorf, Katharinenfeld, Marienfeld, Petersdorf and Tifliser Kolonie (Neutiflis).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

გიორგი სოსიაშვილი
პროფესორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მობილიზაცია მხოლოდ 17 დეკემბერს გამოცხადდა, როცა სომხებმა სადახლო, აშაღასერალი და შულავერი დაიკავეს, ხოლო მათი მოწინავე რაზმი გამოჩნდა მდინარე ხრამზე. სომხეთის წინააღმდეგ მოქმედი ლაშქრის სარდლად დაინიშნა გიორგი მაზნიაშვილი. იმავე დღესვე მთავრობის დავალებით საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი თბილისში მყოფ უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლებს აცნობებს სომხეთის ჯარების საქართველოზე თავდასხმის ფაქტს და მთავრობის პროტესტს ამის თაობაზე. [10] საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური კავშირი სომხეთთან. დაიწყო მათ შორის საომარი მოქმედებები, რამდენიმე დღეში ქართველებმა ხელთ იგდეს უპირატესობა, მტერი უკან იხევდა, მაგრამ ამ დროს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ინიციატორებად გამოვიდნენ კავკასიაში მყოფი ინგლისისა და საფრანგეთის მისიის წარმომადგენლები. მათთან მოლაპარაკების საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 21 დეკემბერს მიიღო შემდეგი დაგენილება: „1. საქართველოს მთავრობა დიდი კმაყოფილებით იღებს მოკავშირეთა ინიციატივას საქართველოსა და სომხეთს შორის ძმათა მკვლელი ომის დამთავრების შესახებ; 2. საქართველოს მთავრობა იღებს დეპეშის

[9] გაზ. „საქართველო“. 1919 წლის 10 იანვარი.
[10] გაზ. „საქართველო“, 1918 წლის ქრისტეშობისთვის, გვ. 17.

ტექსტს შემდეგი შენიშვნების გათვალისწინებით: ა) საქართველოს ჯარების მხრიდან საომარი მოქმედებების შეწყვეტის ბრძანება გაცემული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის მიერ; ბ) როგორც კი შეწყდება საომარი მოქმედებები ორივე მხრიდან, სომხეთის ჯარმა უნდა გაათავისუფლოს ბორჩალოს მაზრა და დაიკავონ ის პოზიციები, რომელიც მათ ეკავათ საომარი მოქმედებების დაწყებამდე. ამავე დროს, საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს მთელი მოსახლეობის ძირითადი და ქონებრივი უსაფრთხოება. შერეულმა კომისიამ უნდა განსაზღვროს მხარეებიდან რომელი იყო თავდამსხმელი, რათა მან აუნაზღაუროს მეორე მხარეს მთელი დანაკარგი".[11]

23 თებერვალს ბათუმიდან თბილისში ჩამოვიდნენ ინგლისის მისიის წარმომადგენელი გენერალ-მაიორი რეიკროფტი და საფრანგეთის მისიის წარმომადგენელი პოლკოვნიკი შარდინი, მათ თან ახლდა სომხეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელი ჯამალიანი. 25 დეკემბერს თბილისში გაიმართა თათბირი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. ჯამალიანის პროტესტის მიუხედავად მიიღეს შემდეგი დადგენილება: „შერეული კომისია, რომელშიც შევლენ ინგლისის, საფრანგეთის, საქართველოს და სომხეთის წარმომადგენლები, დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავრონ ფრონტზე, რათა თვალყური ადევნონ შეთანხმების პირობების შესრულებას. კომისიამ უნდა განსაზღვროს გარნიზონების რიცხვი, რომელიც უნდა დატოვონ ქართველებმა ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში, ხოლო სომხებმა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში. გარნიზონები იქნება მცირერიცხოვანი. საქართველოს ჯარები დარჩებიან იმ ხაზზე, რომელიც ამჟამად უჭირავთ. სომხებმა უნდა დაიხიონ ოსმალური ხაზისკენ: დისიხ-ჯელალ-ოღლიზე. ინგლისური პიკეტები ჩადგებიან რკინიგზაზე ქართველ და სომეხ ჯარებს შუა. ამ სადავო ნაწილში ადმინისტრაცია იქნება შერეული... საქართველოს და სომხეთის წარმომადგენლები უახლოეს მომავალში გაგზავნილი იქნებიან ევროპაში, სადაც საზღვრების საკითხი გადაწყვეტილი იქნება დიდი სახელმწიფოების მიერ".[12]

1918 წლის 30 დეკემბერს სომხეთის მთავრობამ მიიღო ეს დადგენილება და 31 დეკემბერს 24 საათზე საქართველო-სომხეთს შორის შეწყდა საომარი მოქმედებები. ამ პერიოდისათვის საქართველოს ჯარები იდგნენ

[11] ცსა. ფ. 1864. ან. 1. საქ. 2, ფურც. 7.
[12] ცსა. ფ. 1864. ან. 1. საქ. 31, ფურც. 145.

შემდეგ ხაზზე: სოფელი ოფრეთი, ხოჟორნი, გიულ-ბაღი, სოფელი სადახლო, სადგური სადახლო, ქიმი სიმაღლის 1554 (სადგურ სადახლოს ჩრდილოეთით), სიმაღლე 2660 ჩრდილო-აღმოსავლეთით და შემდეგ წარწერა „წყარო“, რომელიც მდებარეობს კლდეების კაჩაკალას წარწერის ჩრდილოეთით.[13]

მოსახლეობის უმრავლესობაში ამ ზავმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ჩვენი ჯარების წარმატებულმა მოქმედებებმა იმედი ჩასახა, რომ საქართველო ბოლოს და ბოლოს საბოლოოდ გადაწყვეტდა თავისი ისტორიული ტერიტორიების ბედს. გ. კვინიტაძე ასე აფასებს ამ ზავს: „მაგრამ რას მივაღწიეთ ამ უეჭველად მოგებული ომით? წვრილმანებზე თუ არ შევჩერდებით უნდა ვაღიაროთ, რომ დავთმეთ ის, რაც ჩვენს განუყოფელ ტერიტორიად მიგვაჩნია, სადაო გავხადეთ, როცა იარაღით ვაიძულეთ მოწინააღმდეგე უარი ეთქვა თავის მოთხოვნაზე. საკუთარი ტერიტორიის დათმობა ან სადავოდ ქცევა უომრად შეიძლებოდა; დიპლომატიური გზით. რისთვისღა ვიღებდით იარაღს, რისთვის ვღვრიდით სისხლს? თუკი იარაღს მოვკიდეთ ხელი, დაღვრილი სისხლი ღირსეულად უნდა დავაფასოთ... გეტყვიან ვერაფერი შევძელით, ყველაფერი ვიღონეთ, მაგრამ ისეთი ვითარება იყო, რომ ამ პირობებზე უნდა დავთანხმებულიყავითო. საქმეც ისაა, რომ ვერაფერი შეძლეს. მუდამ ასე იქნება, როცა დილპომატიას საფუძვლად დაედება არა ხალხის ინტერესები, არა რეალური ძალა, არა ჯარი, მისი ძალა და წარმატება, არამედ რაღაც ბუნდოვანი, მყიფე მოსაზრებები, რომელიც ვითომცდა ინტერნაციონალისკენ, ხალხის უფლებების, ადამიანის დაცვისაკენ, სოციალიზმისა და მარქსის პრინციპების დაცვისკენ მოგვიწოდებს“.[14]

1919 წლის 3 იანვარს საქართველოს მთავრობა პარლამენტის წინაშე წარსდგა მოხსენებით „ომისა და დროებითი ზავის შესახებ.“ ზავის პირობებმა ცხარე კამათი გამოიწვია. ნაციონალისტები ბრალს დებდნენ სოციალ-დემოკრატებს, რომ ისინი საქართველოს საქართველოს საკითხებს წყვეტდნენ კლასობრივი, პარტიული და პროლეტარული თვალსაზრისით. ვინ მოიგო ამ ომში? კითხულობს სპირიდონ კედია: „ცხადია რომ სომხობამ. სომხებმა მოიგეს ჯერ ერთი იმიტომ, რომ თანახმად დადებული პირობებისა, სომხეთის უდავო კუთვნილებად არის ნაგულისხმევი ბორჩალოს ის ნაწილი, რომელიც დისიხ-ჯელალ-ოღლის სამხრეთით ძევს და

[13] ცსა. ფ. 1864. ან. 1. საქ. 39, ფურც. 21.
[14] გ. კვინიტაძე. მოგონებები. ტ. I. 1998. თბ. გვ. 71.

სომხეთის შეიარაღებულ ძალას უჭირავს. მეორე იმიტომ, რომ ბორჩალოს ის ნაწილი, რომელიც ამ ხაზის ჩრდილოეთით არის ვიდრე ჩვენს ეხლანდელ ხაზამდე და ომამდე მხოლოდ ჩვენ გვეჭირა, დღეს სადავოდ არის გამოცხადებული და სომხეთს თავის წილი ადმინისტრაციაც შემოჰყავს. ამგვარად ცხადია, რომ ტერიტორიულად სომხეთია გამარჯვებული, რომ ადმინისტრაციულად და პოლიტიკურად გავსინჯოთ წაგებაში სწორედ ჩვენ ვართ“.[15]

პარლამენტმა ხმის უმრავლესობით მაინც მოიწონა ზავის პირობები.

7 იანვარს თბილისში მუშაობა დაიწყო სამშვიდობო კონფერენციამ, რომელსაც ესწრებოდნენ ინგლისის, საფრანგეთის მისიის და საქართველოს და სომხეთის მთავრობების წარმომადგენლები. დაადგინეს, რომ ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთი საზღვარი უნდა გავიდეს ხაზზე, რომელიც აერთიანებს იმ პუნქტებს, რომლებიც საქართველოს ჯარის ნაწილებს ეჭირათ 1918 წლის 31 დეკემბრის 24 საათისთვის. ნეიტრალური ზონის სამხრეთ საზღვრად ბორჩალოს მაზრაში ითვლება ოსმალთა ყოფილი ხაზი დისიხ-ჯელალ-ოღლი, რომელიც განსაზღვრული იყო 1918 წლის 25 დეკემბრის შეთანხმებით.

საქართველოს ჯარების რაოდენობა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრაში, ხოლო სომხეთის ჯარისა ბორჩალოს მაზრაში განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში იქნება საქართველოს ჯარები;

ა) სასაზღვრო ჯარის რაზმები საერთო რიცხვით არა უმეტეს 200 კაცისა ახალქალაქის მაზრის საზღვრიდან სოფელ ოფრეთამდე;

ბ) აშაღა-სერალის სადგურიდან სამი ასეულისაგან შემდგარი ბატალიონი, არა უმეტეს 300 კაცისა, მათ რიცხვში ჩაითვლება ჯარის მომსახურე პირები, ტყვიამფრქვეველთა ასეული 4 ტყვიამფრქვევით, არა უმეტეს 50 ჯარისკაცისა, 2 ზარბაზანი, საჭირო მომსახურე პერსონალით, ამ ბატალიონიდან შეიძლება დარაჯების დაყენება ოფრეთთან და სადახლოსთან, თითოეულ შემთხვევაში არა უმეტეს 60 ჯარისკაცისა;

გ) სასაზღვრო დარაჯების რაზმი, რომელთა საერთო რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 50 კაცს, იდგება სადარაჯოზე წყაროდან ვიდრე მდინარე ხრამი მტკვარს შეუერთდებოდეს;

[15] გაზ. „საქართველო“. 1919 წლის 10 იანვარი.

რაც შეეხება სომეხთა ჯარებს ბორჩალოს მაზრაში:

ა) ერთი ასეული არაუმეტეს 125 კაცისაგან შემდგარი, მასში შედის მომსახურე პერსონალიც. ეს ასეული იდგება სოფელ კალაგერანში და სოფელ დიხისში;

ბ)ჯელალ-ოღლის რაიონში გერგერის ახლოს, გერგერში და ნიკოლაევკაში იდგება 3 ასეულისაგან შემდგარი ბატალიონი, საერთო რიცხვით არაუმეტეს 360 კაცისა, მათში ჩაითვლებიან ჯარის მსახურნიც, ტყვიამფრქვეველთა ასეული 4 ტყვიამფრქვევით, არა უმეტეს 50 ჯარისკაცისა, 2 ზარბაზანი შესაფერი მომსხურე პერსონალით;

გ)ერთი ასეული არაუმეტეს 125 კაცისაგნ შემდგარი, რომელთა რიცხვშიც ჩაითვლებიან მსახურნიც, იდგება საუფლისწულო მამულშიც (ბეროზოვაია ბალკა) სოფელ ნოვოპოკროვკაში;

დ) საქართველოს ჯარები ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთით წალკითურთ და სომხეთის ჯარები ამავე მაზრის სამხრეთ ნაწილში მთლიანად არ უნდა აღემატებოდეს 600 ჯარისკაცს, თითოეულ ნაწილში შესაფერისი საარტილერიო მსახურებითა და ზარბაზნებით;

ე) მხარეებს უფლება აქვს ქვეითი ჯარები შესცვალონ ცხენოსნებით;ე) ორივე მხარე კისრულობს ა, ბ, გ, პუნქტებში მოყვანილი პირობების შესრულებას 14 იანვარს, 1919 წლის 24 საათამდე.

რაც შეეხება ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის მართვას, მიიღო შემდეგი დადგენილება:

1) ნეიტრალურ ზონას მართავს კომისია მოკავშირეთა ხელმძღვანელობით და კონტროლით;

2) უშუალო მართვა ეკუთვნის საკოლეგიო კომისარიატს, რომელიც შედგება საქართველოსა

და სომხეთის თითო წარმომადგენლისაგან, მოკავშირეთა სარდლობის კონტროლქვეშ.

რაიმე საკითხის შესახებ ამ წარმომადგენელთა შორის ატეხილ დავას სწყვეტს მოკავშირეთა

სარდლობის წარმომადგენელი;

3) მართვის შემდეგი დაბალი, სასოფლო ინსტანცია აირჩევა ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ;

4) სასამართლოსა და საფინანსო მოღვაწეობის ინსტანციები მუშავდება კომისარიატის მიერ;

5) მართვის ხარჯებს თავისთავზე ღებულობს ბრიტანეთის მთავრო-

ბა იმ პირობით, რომ მომავალში ეს ხარჯი დაეკისროს იმ სახელმწიფოს, რომელსაც ეს სადაო ნაწილი მიეკუთვნება საბოლოოდ. რადგან ნეიტრალურ ზონაში რკინიგზის ხაზის შესახებ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხდა და სომხეთის მთავრობის წარმომადგნლებმა კი განაცხადეს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტას ისინი მოკავშირეთა სარდლობას ანდობენ, კონფერენციის თავმჯდომარემ მიღებული ინსტრუქციის მიხედვით დაადგინა, რომ რკინიგზის ხაზი, ნეიტრალურ ზონაში, გადაეცეს საქართველოს რკინიგზათა სამმართველოს, მოკავშირეთა სარდლობის თვალყურის დევნებით.[16]

მოკავშირეთა სარდლობის ინიციატივით 1919 წლის 28 თებერვლიდან 3 მარტამდე მიმდინარეობდა მეორე კონფერენციის სხდომები, სადაც საქართველო-სომხეთის ურთიერთობის დანარჩენი საკითხებიც იქნა მოგვარებული ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის დონეზე. თბილისში კვლავ გაიხსნა სომხეთის დიპლომატიური მისია ძველი უფლებებით. [17]

1919 წლის აგვისტოდან დაიწყო ბორჩალოს მაზრიდან და მესხეთიდან ინგლისის ჯარების გასვლა. დარჩა ჯარი მხოლოდ ბათუმში. ინგლისელების წასვლა ამიერკავკასიიდან ნიშნავდა ამ ქვეყნის თავისებურ მიტოვებას, როდესაც მას უკვე უახლოვდებოდა ჩრდილოეთიდან რუსეთი და სამხრეთიდან კი ახალი ოსმალური ჯარები ირაზმებოდნენ. ჯერ განუმტკიცებელ საქართველოს რესპუბლიკას დამხმარე ხელი ესაჭიროებოდა. 1920 წლის ივლისში ინგლისმა ბათუმიც დატოვა.

ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონიდან ინგლისის ჯარის ევაკუაციის შემდეგ, 29-30 აგვისტოს შედგა საქართველოს და სომხეთის წარმომადგენლების თათბირი ნეიტრალურ ზონაში მართვა-გამგეობის საკითხის მოსაგვარებლად. სხდომას დაესწრო მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენელი გენერალი ბიჩი. სხდომამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის ადმინისტრაცია დარჩეს შერეული (ქართულ-სომხური) ბრიტანეთის ოფიცრის ხელმძღვანელობით და კონტროლის ქვეშ; 2. შერეული ადმინისტრაციის არბიტრად დანიშნულ ბრიტანეთის ოფიცერს საცხოვრებელ ადგილად შეუძლია აირჩიოს სურვილისამებრ ალავერდი ან თბილისი; 3. ნეიტრალური ზონის მართვა-

[16] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიკროფირების აღწერილობა. სცსა. ფ. 1864. ან. 1. საქ. 39

[17] გაზ. „საქართველო“. 1919 წლის 5 მარტი.

გამგეობის ხარჯი განაწილებულ იქნეს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის; 4.დარჩეს შეუცვლელი ის ხაზი, სადაც დაბინავებულია ქართული და სომხური გარნიზონი და აგრეთვე რაოდენობა ამ გარნიზონისა. [18]

1920 წლის სექტემბერში დაიწყო ოსმალეთ-სომხეთის ომი. ოსმალებმა თანდათანობით დაიკავეს გუმბრი, ყარაქილისი, მიუახლოვდნენ ლორეს ნეიტრალურ ზონას. სომხებმა დასახმარებლად ქართველებს მიმართეს. 1920 წლის 13 ნოემბერს საქართველოსა და სომხეთს შორის დაიდო შეთანხმება ქართველი ჯარის ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში დროებით შეყვანის თაობაზე. შეთანხმება დაიდო სამი თვის ვადით, მისი გაგრძელება შეიძლებოდა ორივე მხარის შეთანხმებით. თუ ახალი შეთანხმება არ დაიდებოდა ეს შეთანხმება კარგავდა ძალას.

1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა სომხეთის საგარეო საქმეთა კომისარმა ბეკზადიანმა 1920 წლის 28 დეკემბერს გაუგზავნა ნოტა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, სადაც იგი აღნიშნავს, რომ არ სცნობს დაშნაკთა მთავრობის და საქართველოს შეთანხმებას, რომლის ძალითაც დაჭერილია ნეიტრალური ზონა საქართველოს ჯარების მიერ და მოითხოვს რომ საქართველომ დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები ნეიტრალური ზონიდან. [19]

საქართველოს მხარე აცხადებდა, რომ „ნეიტრალური ზონის“ ხელშეკრულება იყო დროებითი, რომელიც ამიერკავკასიის სახელმწიფოებს თავს მოახვია ანტატამ, ამიტომ ეს ტერიტორია კარგავდა ნეიტრალობას და უბრუნდებოდა საქართველოს, გარდა ამისა 7 მაისის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა სცნო თბილისის გუბერნია საქართველოს შემადგენელ ნაწილად, ხოლო ლორეს მხარე თბილისის გუბერნიაში შედიოდა. სომხეთ-საქართველოს 1920 წლის 13 ნოემბრის შეთანხმებით საქართველოს ჯარს ლორე უნდა დაეტოვებინა 3 თვის შემდეგ ე.ი. 1921 წლის 13 თებერვალს. სწორედ იმავე ხანებში საქართველოს მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკება გასაბჭოებულ სომხეთის მთავრობასთან და მიაღწია იმას, რომ 1921 წლის 15 თებერვალს უნდა მომხდარიყო სომხეთისა და საქართველოს დელეგაციათა შეხვედრა, ყველა სადავო საკითხის გადასაწყვეტად. მაგრამ მას ეს არ დასცალდა. საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტი-

[18] ს. კილაძე. ერთი ომის დოკუმენტური ქრონიკა ანუ რა მოხდა 1918 წლის დეკემბერში. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“. 1990 წლის 26 მაისი.
[19] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1921 წლის 7 იანვარი.

ლი იყო. 1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა ჯარებმა სომხეთის მხრიდან დაიწყეს საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებები. მათ სწორედ ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში მოაწყეს „მშრომელი ხალხის“ აჯანყების ინსცენირება. 1921 წლის 25 თებერვალს მოხდა საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოება.

ბოლშევიკების დროს საზღვრებისადმი დამოკიდებულების საკითხი რადიკალურად შეიცვალა. საბჭოთა ხელისუფლების დროს რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრები შეგნებულად წაიშალა, რაც საბაჟოების, პიკეტებისა და სხვა ტექნიკური ფორმების გაუქმებით გამოიხატა. „ჩვენ ვერ მივიღებთ ომის გამომწვევ ბუნებრივ საზღვრებსო“ – აცხადებდნენ ისინი და საზღვრების საკითხს ცუდად გაგებული „ინტერნაციონალური“ ლოზუნგებით სწყვეტდნენ. მათ საქართველოს ისტორიული მიწები დაუთმეს „მოძმე ხალხს“. ამის შემდეგ ლაპარაკიც აღარ არის სახელმწიფო საზღვრებზე, ეს იქიდანაც ჩანს, რომ სადავო სასაზღვრო საკითხების განსახილველად იქმნება არა სახელმწიფოებს შორის, არამედ მაზრებს შორის საზღვრების გამმიჯნავი კომისიები, რომელთა ოქმებში ყველგან საუბარია ფაქტიური მფლობელობის, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ან უკეთეს შემთხვევაში ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ საზღვრებზე.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიული საკითხების მოგვარების მიზნით, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 2 მაისის პლენუმმა შექმნა სპეციალური კომისია,ს. კიროვის თავმჯდომარეობით. ამ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სომხეთის წარმომადგენელი ბეკზადიანი, რომელმაც აღნიშნა: „მოსკოვის ხელშეკრულების დადების შემდეგ (იგულისხმება საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის მარტში დადებული ხელშეკრულება) სომხეთის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მან თავისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაკარგა ეკონომიკურ რესურსებიანად, უმდიდრესი ქვანახშირის და მარილის მაღაროები და ყარსის, სარიყამიშის, ოლთის და ყაგიზმანის ტყიან-საძოვრიანი რაიონები... გარდა ამისა, ამ ბოლო ომის წყალობით ლტოლვილთა რაოდენობა 410 ათასამდე ავიდა. მათ ადგილი უნდა მივუჩინოთ.. ახლა სომხეთს არც საკმარისი ტერიტორია აქვს და არც ტყისა და სხვა ფონდები – სახელმწიფო სახსრების უმთავრესი წყარო, ამიტომ იგი როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი ერთეული ვერ შეძლებს არსებობას. ამ გარემოებათა გამო ამხ. ბეკზადი-

ანს უაღრესად საჭიროდ მიაჩნია, რომ მეზობელ აზერბაიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკებს ჩამოეჭრათ ტერიტორია სომხეთის სასარგებლოდ. როცა მოსკოვში ამხანაგმა მიასნიკოვმა და ბეკზადიანმა ამხ. სტალინი ინახულეს, ამ უკანასკნელმა ეს თვალსაზრისი სავსებით გაიზიარა.

ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე, სომხეთის დელეგაცია სთხოვს ამხანაგ ქართველებსა და თათრებს, გაითვალისწინონ სომხეთის განსაკუთრებული მდგომარეობა და საერთო სოლიდარობის გულისთვის, ერთხელ და სამუდამოდ გულწრეფელი მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების დამყარების გულისთვის, დაგვთანხმდნენე გარკვეული ტერიტორიების დათმობას, ამასთან კომპაქტურად სომხური მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში“.[20]

საგულისხმოა, რომ საბჭოთა საქართველოს იმდროინდელმა მესვეურებმაც მიუღებლად მიიჩნიეს ტერიტორიის ჩამოჭრა. ოქმში ჩაწერილია: „გამიჯვნის შემოთავაზებული ვარიანტი ამხანაგი ქართველი დელეგატებისათვის მიუღებელია და ისინი პოლოტიკური მოსაზრებით აყენებენ იმ საკითხს, რომ არ დაიშვას რაიმე ტერიტორიის ჩამოჭრა“.[21]

25 ივნისის სხდომაზე საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ წარმომადგენლებს მსჯელობა ჰქონდათ ლორეს ნეიტრალურ ზონაზე. სომხეთის წარმომადგენელი მოითხოვდა ამ ზონის მთლიანად სომხეთისთვის გადაცემას. ქართველები უარყოფდნენ ჩამოჭრის პრინციპს და სადავო ნეიტრალურ ზონას ყოფდნენ ორ სექტორად: აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორად. „ნეიტრალურ ზონაში მოეწყოს ახალი ადმინისტრაციული დაყოფა და ხაზით მთა პალუტლიბაში, მთა ვარტიკეხი, მთა შახალამი, შემდეგ მდინარე დებედა-ჩაის გაყოლებით აკორის სოფლამდე, მთა გუგანკარი, მთა ლეჯანი, ადგილი დაიბატლი, მთა აიდერბეკი, მთა აპაკლუ, სოფელი ალექსანდროვკა, სოფელი კამენკა, სოფელი გერგერი (რუსული სოფლები) ბეზობდალის მთამდე (მწვერვალამდე 2 კილომეტრით აქეთ) გაიყოს ორ სექტორად – აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორებად.. ნებაყოფლობით უარს ამბობდნენ სომხეთის სასარგებლოდ მის აღმოსავლეთ სექტორზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სომხურია, მაგრამ კატეგორიულად მოითხოვენ მეორე სექტორს“. [22]

[20] ლ. თოიძე. 25 თებერვლის შემდეგ. „მაცნე“. ისტორიის... სერია. თბ. 1990. №1, გვ. 23.
[21] ლ. თოიძე. 25 თებერვლის შემდეგ, გვ. 23.
[22] ლ. თოიძე. 25 თებერვლის შემდეგ, გვ. 23.

25 ივნისს შეთანხმება არ იქნა მიღწეული. მეორე სხდომა 26 ივნისს გაიმართა. სხდომას კომისიის წევრების გარდა ესწრებოდნენ ს. ორჯონიკიძე, მ. ორახელასვილი და შ.ელიავა. ამ სხდომაზე ბეკზადიანი აყენებს კონკრეტულ წინადადებას: კომისიამ მუშაობა შეწყვიტოს და საზღვრების ყველა საკითხი გადატანილი იყოს ამიერკავკასიის კონფერენციაზე. წინადადება არ მიიღეს. ქართველებმა ახალი წინადადება წამოაყენეს. აღმოსავლეთ სექტორი სომხეთს დარჩეს, დასავლეთ სექტორში კი მოეწყოს რეფერენდუმი. სომხეთის დელეგაცია დაეთანხმა ამ წინადადებას.[23]

თუმცა საბოლოოდ შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა და 27 ივნისს სხდომა შეწყდა. ივნისის ბოლოს ი.ბ. სტალინი, რომელიც დასასვენებლად იყო ნალჩიკში, ჩამოვიდა თბილისში, რათა მონაწილეობა მიეღო კავბიუროს პლენუმის მუშაობაში, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა 1921 წლის 2-7 ივლისს.[24]

1921 წლის 7 ივლისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ ი. ბ. სტალინის მონაწილეობით განიხილა სომხეთისა და საქართველოს საზღვრების საკითხი. კავბიურომ დაადგინა, რომ ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა შეუერთდეს სომხეთის სსრ რესპუბლიკას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლად შექმნილმა პოლიტბიურომ 1921 წლის 16 ივლისს დაადასტურა კავბიუროს დადგენილება ლორეს ნეიტრალური ზონის სომხეთისთვის გადაცემის შესახებ. თუმცა ბუდუ მდივანმა განაცხადა, ეს საკითხი რომ წინასწარ არ ყოფილიყო გადაწყვეტილი კავბიუროს დადგენილებით, იგი მიზანშეწონილად ჩათვლიდა მოსახლეობის გამოკითხვას (პლებისციტს).[25]

1921 წლის 6 ნოემბერს საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ბუდუ მდივნის და და სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე მიასნიკოვის მიერ ხელმოწერილი იქნა დოკუმენტი, რომლის მიხედვით დადგინდა საქართველოს სს და სომხეთის სს რესპუბლიკებს შორის საზღვარი. სომხეთს გადაეცა ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა. სოფლები ირგანჩაი, საათლო, ჯანდარი, ახკერპი, ოფრეთი, ხოჟორნი, ბრდაძორი, სადახლო დარჩა საქართველოს ფარგლებში.[26]

[23] ლ. თოიძე. 25 თებერვლის შემდეგ, გვ. 26.
[24] С. Хармандарян. Ленин и становление закавказской федерации 1921-23 гг. Эреван. 1969, გვ. 104.
[25] შსს არქივი. ფ. 14. ან. 1. საქ. 7, ფურც. 1.
[26] უიცა. ფ. 607. ან. 1. საქ. 1135, ფურ. 11.

ასე დასრულდა საქართველო-სომხეთს შორის წლების მანძილზე მიმდინარე ბრძოლა. ლორეს მაზრის სამხრეთი საზღვარი საუკუნეების მანძილზე მდინარე მტკვრისა და მდ. არაქსის წყალგამყოფ ქედზე გადიოდა და ყოფილი დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ სასაზღვრო ხაზს წარმოადგენდა, რაც ბუნებრივი იყო. ეს იყო ათასწლეულთა მანძილზე საქართველოს სახელმწიფო საზღვარი! ამ საზღვრების შენარჩუნება ვერ შეძლეს ვერც „მენშევიკებმა“ და მითუმეტეს ვერც „ბოლშევიკებმა“, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ რა ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების ლოზუნგით, სომხეთს გადასცეს თავისი კუთვნილი მიწები.

Natia Mirianashvili
Head of the Department of Contemporary History at the Central Archives,
National Archives of Georgia

Archil Kokhreidze
Senior Researcher,
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

LORE NEUTRAL ZONE

Summary

Before the revolution 1917, there was no such issue as borders between the countries of the Caucasus. The Caucasus consisted of administrative units – governorates and uyezds. After the annexation of the Georgian kingdom of Kartl-Kakheti by Russia in 1801, the Georgian region of Kvemo Kartli came within the Russian rule under the name Lore uyezd (we are talking about historical Tashiri. This region covered the Loki, Lelvari, Karagaji and Bambaki mountains, as well as the gorge of Tashiri River. This region was often called Lore, due to Lore fortress located there). It should be noted that the southern border of this region used to pass near the mountain range, the watershed ridge of the rivers Kura and Arax. Earlier this was the southern border of the Georgian kingdom of Kartl-Kakheti.

In 1804, Lore uyezd changed its name and it became Tbilisi uyezd. In 1840, the territories of Kvemo Kartli – Kazakhi and Shamshadilo became part of the Elizavetopol governorate. Later, the administrative unit with Shulaveri as a center was created, which in 1880 received the name Borchalo uyezd. Administratively, Borchalo uyezd was part of the Tbilisi governorate. The compact settlement of the Armenian population in Borchalo district was carried out in accordance with the political plan of the Russian government. This was a far-reaching and well-thought-out anti-Georgian policy of the government of the Russian Empire.

Immediately after the declaration of independence of Georgia, border disputes began between Georgia and Armenia, which soon escalated into an armed conflict. Representatives of the diplomatic missions of Great Britain and France in these countries tried to stop it. On December 31, 1918, the armed conflict between Georgia and Armenia was ended. By this time, the Georgian armed forces held the positions along the following settlements: the villages of Opreti, Khozhorni, Gulbagi, Sadakhlo and Sadakhlo Station.

Judging by the terms of the peace agreement reached by the negotiators we can say that Armenia emerged victorious from this situation. Firstly, according to the agreement, that part of Borchalo uyezd, which was located south of the villages of Disikhi and Jalal-Ogly, became an undisputed part of Armenia. By that time, this territory was controlled by the Armenian armed forces. Secondly, the northern part of Borchalo, which was controlled by the Georgian army, and which was part of Georgia before the war, was now declared as disputed territory. It was decided to create a neutral zone here, which was to be jointly managed by the Georgian and Armenian administrations. Based on this, we can conclude that Armenia definitely became the winner in this territorial dispute.

On January 7, 1919, a peace conference began in Tbilisi, which was attended by the diplomatic missions of Great Britain and France, as well as representatives of the governments of Georgia and Armenia. The participants decided that the northern border of the neutral zone of Borchalo uyezd should run along those settlements that were occupied by the Georgian armed forces on December 31, 1918. The southern border of the neutral zone was supposed to be the line that was once approved by the Turks, and which ran through the villages of Disikhi and Jalal-Ogly.

On November 29, 1920, Soviet power was established in Armenia. On December 28, 1920, Commissioner of Foreign Affairs of Soviet Armenia Bekzidyan sent a note to the Minister of Foreign Affairs of Georgia, which noted that the government of Soviet Armenia did not recognize the previous agreement between the governments of Armenia's Dashnak government and Georgia's government on the creation of a neutral zone where the Georgian army was stationed. In the note, the Armenian side demanded the immediate withdrawal of Georgian troops from this neutral zone.

The Georgian side responded that the agreement on the creation of a "neutral zone" was temporary and that it was imposed on the states of

Transcaucasia by the Entente. Therefore, this zone now lost its neutral status and returned to Georgia. In addition, according to the agreement of May 7, Soviet Russia recognized the Tbilisi governorate as part of Georgia, and Lore uyezd was part of the Tbilisi governorate.

On February 25, 1921, the Soviet power was established in Georgia by force. Under the rule of the Bolsheviks, attitudes towards borders changed radically. During the Soviet rule in Transcaucasia, there was a conscious erasure of state borders between the Transcaucasian republics, which was reflected in the abolition of customs posts, pickets and other technical infrastructure on the previous borders.

On November 6, 1921, the Chairman of the Revolutionary Committee of Georgia, Budu Mdivani and the Chairman of the Council of People's Commissars of Armenia, Alexander Myasnikov, signed a document that established the border between the Georgian SSR and the Armenian SSR. Armenia received the former neutral zone of Lore uyezd. The villages Irganchai, Jandari, Saatlo, Akhkerpi, Opreti, Khozhorni, Brdadzori and Sadakhlo remained as part of Georgia.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

დიმიტრი შველიძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საბჭოთა რუსული ეპილოგი – „თვითლიკვიდაცია“ (1921-1923)

თავდაპირველად, ახალმა საბჭოთა ხელისუფლებამ თითქოს შემწყნარებლური პოლიტიკური კურსი აირჩია ქართული პოლიტიკური სპექტრის მიმართ. ოკუპანტების თბილისში შემოჭრის დღეს, 1921 წლის 25 თებერვალს, რევოლუციურმა კომიტეტმა დეკრეტი გამოსცა ამნისტიის შესახებ. მთავარი პირობა რაც ამნისტიით იყო გათვალისწინებული, საბჭოთა ხელისუფლების ცნობა გახლდათ, ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების მიერ.

თუმცა ლოიალობის ხანა ორიოდე კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. 1921 წლის 15 აპრილს საბჭოთა საქართველოს საგანგებო კომისიამ გამოსცა ბრძანება, რომელიც ფაქტობრივად კრძალავდა პოლიტიკური პარტიების ყოველგვარ აქტივობას. ბრძანება პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც არ აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, სპეციალური ნებართვის გარეშე ეკრძალებოდათ კრებების, თათბირების, სხდომების გამართვა. ნებართვის მისაღებად საჭირო იყო წერილობითი განცხადება, რომელშიც ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო პირობები: „1. ვინ მართავს კრებას, თათბირს, 2. კრების საგნები; 3. ადგილი კრებისა 4. დრო კრებისა. ყველა კრებები, თათბირები და სხვა ამგვარი, ზემოაღნიშნული ორგანოების ნებადაურთველად გამართულნი, გაუფრთხილებლად დაშლილი იქნება, ხოლო მათი ინიციატორები დატუსაღებულნი და სამართალში მიცემულნი, როგორც არსებული წესწყობილების წინააღმდეგ შეთქმულნი“.[1]

[1] გაზ. „კომუნისტი“. 1921 წლის 19 აპრილი. იხ. ლ. თოიძე. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები). თბ. 1999, გვ. 373.

ცხადია, ამგვარი მკაცრი კონტროლის დაწესება ნებისმიერი პარტიის მიმართ, ფაქტობრივად, აკრძალვას თუ არა – პარტიების აქტივობის მინიმუმამდე შეზღუდვას და ფაქტობრივ კვდომას გამოიწვევდა.

ქვეყნის ბოლშევიკურმა ოკუპაციამ როგორც ყველა, ისე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში, ორიენტაციული და ვიტყოდით – ეგზისტენციური განწყობების გამწვავება გამოიწვია. ბუნებრივია გაჩნდნენ ან გააქტიურდნენ საოკუპაციო ხელისუფლების მოწინააღმდეგე და თანამშრომლობის მომხრე ჯგუფები.

1921 წლის 28 მარტს შედგა პარტიის გაერთიანებული კრება. ორივე კომიტეტმა – ე. ი. მემარჯვენე – მთავარმა კომიტეტმა და მემარცხენე – დროებითმა მთავარმა კომიტეტმა, საკუთარი რეზოლუციები წარმოადგინეს. აღმოჩნდა რომ უმრავლესობა დროებითი მთავარი კომიტეტის რეზოლუციას უჭერდა მხარს. მემარცხენეები საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პოზიციაზე იდგნენ. მათ საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს, მთავრობაში მონაწილეობა სთხოვეს. მემარცხენეთა რეზოლუციის შინაარსი დოკუმენტის ენით წარმოვადგინოთ:

„1. აღიაროს მომხდარი გადაჭრა ორიენტაციის საკითხისა, როგორც ფაქტი ქართველ მშრომელთა სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა; 2. უარყოს ამ ფაქტის წინააღმდეგ მიმართული ინტერვენციის პოლიტიკა და სხვა რაიმე სახის მილიტარული ნაბიჯები; 3. აღიაროს საბჭოთა სისტემა როგორც ფორმა ქართველ მშრომელთა სუვერენობის და პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებისა; 4. დარაჯად დაუდგეს საბჭოთა სისტემის ნიადაგზე ქართველ მშრომელთა მიერ ეროვნულ თვითგამორკვევას, უკვე აღიარებული დამოუკიდებლობის უფლებრივი და შეურყეველი დაცვით; 5. მიიღოს ყოველგვარი მონაწილეობა პოლიტიკურ-ეკონომკურ აღმშენებლობაში საქართველოს ეკონომიურ პირობებთან შეგუებით და აქტუალური სოციალიზმის გეგმების ცხოვრებაში სრული გატარებით; 6. მხარი დაუჭიროს კომუნისტურ მთავრობას, რამდენადაც ზემოთ აღნიშნული პრინციპები თანამშრომლობის რეალურ საფუძვლად იქცევა და პრაქტიკულ პოლიტიკაში თანდათანობით გატარდება“.[2] 1921 წლის 5 ივნისს გამართულმა სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის მეექვსე კონფერენციამ – მთავარი კომიტეტის რეზოლუცია მიიღო. პარტია საბოლოოდ გაიყო ორად. რეზოლუციაში აღნიშნული იყო რომ მოხდა შეტაკება საბჭოთა

[2] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“. 1921 წლის 1 აპრილი. იხ. ლ. თოიძე. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები), გვ. 377.

არმიასთან, რის შედეგადაც „საქართველო იმყოფება საოკუპაციო მდგომარეობაში. მიუხედავად ასეთი ღრმა ცვლილებებისა, საქართველოს ფაქტობრივ მდგომარეობაში, საერთაშორისო უფლებრივი თვალსაზრისით საქართველო კვლავ სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რასაც თავის დეკლარაციაში არ უარჰყოფს არსებული საბჭოთა ხელისუფლებაც...“.

გარდა ამისა, კვლავ დოკუმენტს მივმართოთ: „საქართველოს მდგომარეობა საერთოდ და მისი ურთერთობა სხვა ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთან, არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნას საქართველოს მშრომელ ხალხის თავისუფალი ნების გარეშე... საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში, პარტიას მისაღებად მიაჩნია საბჭოთა სისტემა, რადგან ამ საშუალებითაც შესაძლებელია მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვა. კონფერენცია მოითხოვს: 1. აღდგენილ იქნას სუვერენულ სახელმწიფოს ელემენტები – უცხო ჯარის მაგიერ საკუთარი ჯარის შექმნა, დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიის მთლიანობისა და მისი საზღვრებისა, აღდგენა საგარეო წარმომადგენლობისა, მტკიცედ დაცვა სინამდვილეში სახელმწიფო ენის უფლებებისა, საკუთარი ეროვნული ეკონომიკური ფინანსური სისტემის შექმნა, საკუთარი ადმინისტრაცია და სხვ“. 2. მიუხედავად იმისა „რომ მსოფლიო მასშტაბით წარმოებულ ბრძოლაში საქართველო უკვე ჩათრეულია, პარტიას საჭიროდ მიაჩნია წარმოება ისეთი პოლიტიკისა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენა; 3. პარტია ამასთანავე უარყოფს ყოველგვარ საბოტაჟს, როგორც ქართველი ხალხის მავნებელს და მოუწოდებს ამხანაგებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ დამოუკიდებელი ეროვნული რესპუბლიკის ყოველგვარ მუშაობაში, გარდა ისეთისა, რასაც ექნება პოლიტიკური პასუხისმგებლობის ხასიათი“[3].

ეს იყო მემარჯვენე ფედერალისტების ანუ ტრადიციული ფედერალისტური პარტიის პოზიცია, რომელიც საბჭოთა რუსეთის შემოსვლას საქართველოში – ოკუპაციას უწოდებდა, ცნობდა მას, მაგრამ უარს აცხადებდა მასთან თანამშრომლობაზე,

საბჭოთა ოკუპაციამ დააჩქარა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის რღვევის პროცესი. 1921 წლის მაის-ივნისის გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის“ ნომრები უკვე იუწყებოდნენ რომ 5 ივნისს უნდა გამართუ-

[3] გაზ. „მაშვრალთა ხმა“. 1921წლის 16 ივნისი. იხ. ლ. თოიძე. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები), გვ. 379.

ლიყო პარტიის მეექვსე კონფერენცია და აქვეყნებდა განსახილველი საკითხების ჩამონათვალს: 1. მომენტი და ტაქტიკა; 2. მთავარი კომიტეტის მოქმედება და 3. მიმდინარე საკითხები. ის რაც ყურადღებას იქცევდა იყო რომ ყრილობას ორი ორგანიზატორი ჰყავდა: მთავარი კომიტეტი და დროებითი მთავარი კომიტეტი. აქედან ჩანდა რომ მომავალი კონფერენცია ძველი და ახალი ანუ მემარჯვენე და მემარცხენე ფედერალისტების შეჯახების არენა უნდა ყოფილიყო.

მეექვსე კონფერენციას სოციალისტ-ფედერალისტები დიდი ინტერესით მოელოდნენ, რადგან მას უნდა გაერკვია პარტიის „საშინაო ბრძოლის“ საკითხი და დისციპლინა დაემყარებინა. ჩვენს ხელშივეა ჩვენი სამი თვის მუშაობის ისტორია – წერდა გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“ და იგულისხმებოდა პარტიაში გაჩენილი ოპოზიციური ჯგუფის განსხვავებული პოზიცია და პლატფორმა. თედო ღლონტის წერილის ძირითადი აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ ახალი დროის რევოლუციური მოძრაობა ევროპის ქვეყნებში და რუსეთში ახალ ამოცანებს აყენებდა ფედერალისტების პარტიის წინაშე და მას უნდა მოეხდინა რეაგირება.

მემარცხენეთა ერთ-ერთი ლიდერი თედო ღლონტი ფიქრობდა რომ ახალი საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ფედერალისტურ პარტიას ძველი გზით აღარ შეეძლო სიარული. „ამ თვალსაზრისის შემდეგ ჩვენს წინაშე მომენტის კონკრეტული კითხვები გადაიშლება, – წერდა ღლონტი – რა მთავარი ძალები ქმნიან მომენტს საერთაშორისო მასშტაბში? რა ძალები იბრძვიან, ვინ რას აკეთებს, ვინ იღუპება და რა ხდება ჩვენს გარშემო?“. კონფერენციას ამ კითხვებზე უნდა გაეცა პასუხი.[4]

1921 წლის 5-9 ივნისს მიმდინარე ფედერალისტური პარტიის მეექვსე კონფერენციაზე მყოფმა 52-კაციანმა ჯგუფმა გააკეთა განცხადება, რომელშიც დაფიქსირებული იყო ყრილობის მოწვევის დროს მომხდარი დარღვევები: თითქმის არ მომხდარა დელეგატების რეგისტრაცია; გაყალბდა არჩევნები; ბევრმა დელეგატმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო და ა. შ. ამ და სხვა მიზეზების გამო მონაწილეთა ერთმა ჯგუფმა კონფერენცია „სცნო უკანონოდ და ავალებს დრ(ოებით) მთავარ კომიტეტს, რომელიც მუდამ მოითხოვდა კონფერენციის რეგისტრაციით და წესიერების გზით მოწვევას, შეუდგეს საკონფერენციო სამზადისს, მოახდინოს პარტიის წევრთა სრული რეგისტრაცია საქართველოში და მოიწ-

[4] „სოციალისტ-ფედერალისტი“. 1921 წლის 8 ივნისი. თედო ღლონტი. ფურცლები.

ვიოს კანონიერი კონფერენცია“[5] ეს უკვე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ოფიციალური გაყოფა იყო ორ ნაწილად – მემარჯვენეებისა და მემარცხენეების სახით. პირველები – მთავარ კომიტეტს ემორჩილებოდნენ, მემარცხენეები კი დროებით მთავარ კომიტეტს.

მემარჯვენეე ტრადიციონალისტებმა ისევ გიორგი ლასხიშვილი აირჩიეს პარტიულ ლიდერად – თავმჯდომარედ. მაგრამ მემარჯვენეებმა ამის შემდეგ ფაქტობრივად ხელი აიღეს აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაზე. გიორგი ლასხიშვილი და ბევრი მისი თანამოაზრე, რომელმაც უარი თქვა კომუნისტურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე, პოლიტიკურ საქმოანობას ჩამოსცილდა. პარტიამ მოღვაწეობა განაგრძო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების სახით. მთავარი წყალგამყოფი მემარჯვენე და მემარცხენე ფედერალისტებს შორის – საბჭოთა კომუნისტურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საკითხი გახლდათ და პარტიის ორად გაყოფაც ამ ნიადაგზე მოხდა, რაც საბოლოოდ მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის პოლიტიკური სცენიდან გაქრობით დამთავრდა.

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები მეექვსე კონფერენციის დამთავრებისთანავე შეუდგნენ საკუთარი დამოუკიდებელი პარტიის მშენებლობის საქმეს. მეტიც, მათ საკუთარ პარტიას, ჯერ კიდევ 1921 წლის 30 მარტს ჩაუყარეს საფუძველი, როდესაც აირჩიეს დროებითი მთავარი კომიტეტი. მეექვსე კონფერენციაზე მემარცხენეებმა რამდენიმე განცხადება გააკეთს, რეზოლუციების სახით, რომლებიც კონფერენციებზე განხილულ საკითხებზე მემარცხენეთა პოზიციებს აფიქსირებდა. პირველი რეზოლუცია იყო: „პარტიის ხელმძღვანელი ორგანო“, რომელშიც ვკითხულობთ: „საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტია მეექვსე კონფერენციის დელეგატები, რიცხვით 52 ამტკიცებს დრ. მთავარ კომიტეტის შემადგენლობას, არჩეულს ტფილისში 30 მარტს მთავარ კომიტეტის და ტფ. ორგანიზაციების შეერთებულ კრებაზე, ადასტურებს მთავარ კომიტეტის დაშლას და სცნობს ცენტრალურ ორგანოდ გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტს“.

„მომენტისა და ტაქტიკის“ შესახებ, მემარცხენეთა ჯგუფმა საკუთარი განცხადება თუ რეზოლუცია შეიმუშავა: „... მეექვსე კონფერენციის 52 დელეგატმა მოისმინა რა დრ. მთავარი კომიტეტის მოხსენება მომენტსა და მოქმედებაზე ამტკიცებს 30 მარტს ტფილისში მთავარი კომი-

[5] „სოციალისტ-ფედერალისტი“. 1921. კონფერენციის სამზადისი.

ტეტის და ტფ. ორგენიზაციების შეერთებულ კრებაზე მიღებულ პლატფორმას, რეზოლუციას, იწონებს დრ. მთავარი კომიტეტის მოქმედებას და ავალებს მას მიღებულ მიმართულებით მტკიცე მუშაობას“.[6] მემარცხენეებმა უკანონოდ მიიჩნიეს მეექვსე კონფერენცია, „უმცირესობის“ სახით დატოვეს კონფერენცია და თავისუფალი მოქმედების უფლება დაიტოვეს. ვახტანგ კოტეტიშვილი არ ეთანხმებოდა მათ, ვინც მომხდარი ფაქტი პარტიის გაყოფად მიიჩნიეს, მაგრამ ფაქტი სახეზე იყო და მისი უარყოფა შეუძლებელი.

1921 წლის 30 ოქტომბერს შეიკრიბა და 3 ნოემბრამდე მიმდინარეობდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პირველი ყრილობა. „დიდი დანიშნულების“ ყრილობას სულ 55 დელეგატი ესწრებოდა, უმთავრესად „სოფლელი ამხანაგები“. ფორუმის თავმჯდომარედ აირჩიეს ძველი, ჯერ კიდევ წინა საუკუნის 90-იანი წლების ცნობილი საზოგადო მოღვაწე იაკობ ფანცხავა. მისი ამხანაგები იყვნენ: პ. კვირკველია და მ. კაკულია. დროებითი მთავარი კომიტეტის საქმიანობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა თედო ღლონტმა. მოხსენების ერთ-ერთი ძირითადი იდეა ღლონტმა ჩამოაყალიბა სიტყვებში: „საბედისწერო მომენტში ჩვენი პარტიის დროშა აუცილებლად უნდა გადაიხაროს ერის დროშის წინაშე. ესე იგი ეროვნული საქმე უფრო დიდ საქმედ დავსახოთ ვიდრე პარტიის საქმე“.[7]

რა იყო და რა უნდა ყოფილიყო დროებითი მთავარი კომიტეტის, ე. ი. მემარცხენე ფედერალისტების მთავარი ღირებულებები და მიზნები, თედო ღლონტმა ჩამოთვალა: ქართული საქმე და ქართული კულტურა, დაწესებულებების ნაციონალიზაცია; ქართული ენა, ეროვნული თვალსაზრისი, საქართველოს ჯარი, საქართველოს დამოუკიდებლობა, უცხოელების დაბრუნება სამშობლოში, საქართველოს საზღვარი, ბათუმის საკითხი, საქართველოში „თავისებური“ პოლიტიკა...

ძნელი არაა გავარჩიოთ რომ ხმამაღალი რევოლუციური ფრაზების ფონზე, მემარცხენე ფედერალისტების ფარული თუ გაცხადებული მიზანი იყო – ყველაფერი რაც ეროვნულ საკითხთან იყო დაკავშირებული.

საინტერესოა რომ ყრილობაზე წამოიჭრა ზოგი მონაწილის აზრი რომ ფაქტობრივად, ყრილობაზე საფუძველი ჩაეყარა ახალ პარტიას. გა-

[6] „სოციალისტ-ფედერალისტი“ 1921, იქვე.
[7] „ტრიბუნა“. 1921 წლის 1 ნოემბერი.

ზეთი „ტრიბუნა“ წერდა: „პარტიული ორიენტაციის გადატეხვით, ძველი პოლიტიკური გეზის შეცვლით არსებითად, რეალურად ნიადაგი ჩაეყარა ახალი პარტიის არსებობას, მის რევოლუციონურ შემოქმედებას და მოღვაწეობას. ჩვენი გზა დაშორდა ძველი პარტიის ხელმძღვანელთა მიერ შემუშავებულ გზას“. როგორც ჩანს, ამ აზრს მოყვა „ფრიად საყურადღებო დისპუტი“, რომელშიც მონაწილეობდნენ: კ. ბაქრაძე, თედო ღლონტი, ი. ასათიანი, გ. მუშიშვილი, ჭაბუკიანი, ს. ამაღლობელი, მ. კაკულია, მ. გავაშელი... მაგრამ როგორც ჩანს, უმრავლესობამ უარყო ახალი პარტიის ფორმირების აზრი და ეს ჩანს კამათის შემდგომი განცხადებებიდან და რეზოლუციებიდან. პარტიამ მხოლოდ ერთი სიტყვა დაამატა თავის სახელწოდებას და აღნიშნა რომ ეს იყო „ახალი პერიოდი“ პარტიაში: როგორც „ამხ. თედო ღლონტი აღნუსხავს პარტიის ახალი პერიოდის დასაწყისს, ითვალისწინებს იმ განუზომელ მუშაობას, რომელიც წინ უძევს ჩვენ პარტიას...“

უკანასკნელ მეცხრე სხდომაზე, ყრილობამ დაადგინა რომ „დღეიდან ჩვენს პარტიას ეწოდოს საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. ეს ყრილობა იქნეს აღნუსხული, როგორც დამფუძნებელი კრება ჩვენი პარტიისა“.[8]

მემარცხენე ფედერალისტების პირველმა ყრილობამ 8 რეზოლუცია მიიღო. მათი შინაარსი ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან კომპრომისი დაეჩრდილა ან გაემართლებინა ორაზროვანი თუ შეფარული ფორმულირებებით და აქცენტი გაეკეთებინა მაინც არარსებულ, მაგრამ ფორმალურ დამოუკიდებლობაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო იყო მესამე და მეოთხე რეზოლუციები.

მესამე რეზოლუცია ყურადღებას მიაქცევდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას: „თანამედროვე პირობებში საქართველოს კულტურული აყვავება მჭიდროდ დაკავშირებულია ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თავისუფლებასთან, რომელიც დამოუკიდებლობის სახით ქართველმა ერმა მოიპოვა რევოლუციის პროცესში და ცნობილია, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების მიერ, აგრეთვე თითქმის ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფოსაგან“.

მეოთხე რეზოლუციით: „ყრილობას მიიჩნია აუცილებელ საჭიროდ დღევანდელ პირობებში განმტკიცება ეროვნულ დამოუკიდებლობის და

[8] „ტრიბუნა“. 1921 წლის 5 ნოემბერი. მეცხრე სხდომა.

ცხოვრებაში გატარება ეროვნულ სახელმწიფოს ყოველ ატრიბუტისა“.[9]

რაც შეეხება მთავარ კომპრომისს და დათმობას საბჭოთა ოკუპაციის წინაშე, იგი იმალებოდა მერვე რეზოლუციის ბუნდოვან ფრაზებში: „ყრილობა იღებს საბჭოთა სისტემას, როგორც საუკეთესო ფორმას მშრომელი კლასის ბატონობისა და უძლიერეს იარაღს ეროვნული და სოციალური მიზნების განსახორციელებლად“.

ყოველ შემთხვევაში, მემარცხენე ფედერალისტების დარჩენა ოპოზიციურ ფლანგზე, მაინც უნდა შეფასდეს როგორც ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელსაც შეეძლო დაეცვა საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმულა და ეროვნული ღირებულებები.

ყრილობის უკანასკნელი აქტი იყო მთავარი კომიტეტის არჩევნები, რომელშიც შევიდნენ: იაკობ ფანცხავა, თედო ღლონტი, სიმონ ხუნდაძე, პეტრე ჭანიშვილი, სერგო ამაღლობელი, ვ. პაატაშვილი, ჩახუნაშვილი, დ. მელაშვილი და ს. ასლანიშვილი. როგორც „ტრიბუნა“ აღნიშნავდა, ყრილობის დელეგატები „ძმური სალმით“ დაიშალნენ, ღამის 1 საათზე.

როცა მეექვსე კონფერენციაზე კვლავ გ. ლასხიშვილი აირჩიეს პარტიის თავმჯდომარედ და ეს თითქოს გამარჯვებად უნდა აღქმულიყო. მაგრამ სწორედ ამ „გამარჯვებიდან“ დაიწყო ფედერალისტთა პარტიის სრული დაღმასვლა. პარტიის ძველი თაობა არ შეურიგდა ახლების დიქტატს. „მემარცხენეები“ ამბობდნენ: „პარტია განაგრძობს დროებით მთავარი კომიტეტის (ანუ მემარცხენეების – დ. შ) პლატფორმით მუშაობას და პარტიის ყოველ წევრს, ვინც არ უნდა იყოს იგი, უნდა დაემორჩილოს ჩვენს ნაბიჯს...“ ბევრი დაემორჩილა კიდეც მემარცხენეების პროსაბჭოურ კომპრომისს. ძველი თაობის ნაწილმა იატაკქვეშა ანტირუსული ბრძოლის გზა აირჩია. ბევრი კი საერთოდ ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას და კერძო ცხოვრებას შეაფარა თავი, როგორც გიორგი ლასხიშვილმა, ხოლო ზოგმა საზღვარგარეთულ ემიგრაციას მიაშურა და საკუთარ სამშობლოდან გადაიხვეწა.

1921 წლის დეკემბერში პირველი ბოლშევიკური არჩევნები ჩატარდა საქართველოში – ე. წ. თბილისის მუშათა და წითელარმიელთა საბჭოს არჩევნები. ყველა ოპოზიციურმა პარტიამ ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს, გარდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებისა. მათ წერილი გაუგზავნეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომი-

[9] „ტრიბუნა“. 1921 წლის 9 ნოემბერი. რეზოლუციები და დადგენილებები.

ტეტს და საარჩევნო კომისიებში მონაწილეობის მიღება მოითხოვეს: „ჩვენი პარტია სავსებით დგას საბჭოთა სისტემის ნიადაგზე. როგორც უდიდეს და უძველეს პარტიას, ჩვენ აუცილებლად უნდა მოგვეცეს უფლება როგორც არჩევნებში მუშაობისა, ისე კომისიებში წარმომადგენლების დაშვებისა...“[10]

8 დეკემბერს დამთავრებული თბილისის საბჭოს არჩევნების შედეგად აირჩიეს 351 დეპუტატი. მათ შორის 305 კომუნისტი, 36 უპარტიო და 10 მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი. მიუხედავად მცირერიცხოვნებისა, სოციალისტ-ფედერალისტებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს რამდენიმე ეროვნული აქციის განხორციელების პროცესში. 1922 წლის 25 თებერვალს გახსნილმა საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ მიიღო საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუცია. დოკუმენტის მეორე თავის მეხუთე მუხლი აკანონებდა რომ „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც არ იწყნარებს არავის სწორუფლებიან მფლობელობას თავის ტერიტორიაზე; სამაგიეროდ, არც თვითონ განავრცელებს თავის უფლებებს თავის საზღვრებს გარეშე“.

ხოლო კონსტიტუციის მომდევნო მეექვსე მუხლი იუწყებოდა რომ „საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა“.[11]

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების მცირერიცხოვანი ჯგუფი: სიმონ ხუნდაძე, თედო ღლონტი, პარმენ ჭანიშვილი და სხვ. კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის წინადადება სწორედ სიმონ ხუნდაძემ და მისმა თანაპარტიელებმა წამოაყენეს. სიმონ ხუნდაძემ თავის მოხსენებაში განაცხადა: „ენის საკითხი ჩვენი კულტურის საკითხი არის. მშრომელთა მასამ, რომელიც აწესებს თავის დიქტატურას, გარკვევით უნდა თქვას თავისი გადაწყვეტილება ენის შესახებ. შეიძლება ენის საკითხი რუსეთში არ წამოიჭრას, ისეთი სიმწვავით, როგორც საქათველოში; აქ ისეთი მდგომარეობაა რომ მასისათვის ენის საკითხი არის უმთავრესი, კულტურის საკითხი და მშრომელი ხალხი რომელიც მთელ თავის მომავალს კულტურაზე აყენებს, ენის საკითხს ვერ დატოვებს ამ მდგომარეობაში. კონსტიტუციაში კი ამის შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი... ყოვლად მიუღებელია,

[10] „ტრიბუნა“. 1921 წლის 30 ნოემბერი.
[11] საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია. ტფ. 1922, გვ. 4-5.

რომ კონსტიტუციაში არ აღვნიშნთ სახელმწიფო ენად ქართული ენის გამოცხადება... მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია ნათლად და გარკვევით მოითხოვს, რომ კონსტიტუციაში შეტანილი იყოს მუხლი ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისა. ეს არ ეწინააღმდეგება არც ერთი ერის ინტერესს...“[12] ზოგიერთი ბოლშევიკი წინააღმდეგი იყო ასეთი მუხლის კონსტიტუციაში შეტანისა, მაგრამ როგორც ისტორიკოსი არჩილ კოხრეიძე შენიშნავს: „დარბაზში შექმნილმა განწყობილებამ აიძულა ყრილობის ორგანიზატორები, დაეკმაყოფილებინათ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მოთხოვნა...“[13]

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დასასრული

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დაშლის, მის ორ ნაწილად გაყოფის, ე. წ. მემარცხენე ფედერალისტების ფრთის გამოყოფისა და ბოლოს – მათი თვითლიკვიდაციის აქტი – საბჭოთა რუსეთში პოლიტიკური პარტიების არსებობის დასრულების ისტორიით უნდა დავიწყოთ. ამ პროცესის ისტორიის მოკლედ გახსენება, ეჭვს აღარ დატოვებს, რომ საქართველოში პარტიების და კერძოდ – ფედერალისტების თვითლიკვიდაცია მოხდა საბჭოთა ხელისუფლების ზეწოლითა და რეპრესიების შიშით. მრავალპარტიული სისტემის დასასრულის ერთადერთი მიზეზი მხოლოდ – საბჭოთა ხელისუფლების ნება იყო – დაემყარებინათ ერთპარტიული დიქტატურა.

საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა კავშირში
პოლიტიკური პარტიების ლიკვიდაციის ქრონიკა

1919 წლის ნოემბერში – შედგა სოციალ-დემოკრატი-ინტერნაციონალისტების ყრილობა, რომელმაც პარტიის თვითლიკვიდაცია გამოაცხადა და ბოლშევიკურ პარტიაში შევიდა.

1920 წლის აპრილი – რუსეთის ესერი-მაქსიმალისტების კავშირის ყრილობაზე, თვითლიკვიდაციის გადაწყვეტილების შემდეგ ესერთა ეს პარტიაც ბოლშევიკური პარტიის რიგებში აღმოჩნდა.

1920 წლის დასაწყისში – უკრაინის ე. წ. ბოროტბისტების პარტიამ შეაფარა თავი რუსეთის კომპარტიას (ბ), რა თქმა უნდა საკუთარი პარტიის თვითგაუქმების შემდეგ. ამის შემდეგ, პარტიების თვითლიკვიდაციის ანუ საბჭოთა ხელისუფლების მიერ პარტიების ლიკვიდაცი-

[12] „ტრიბუნა“. 1922 წლის 10 მაისი.
[13] ა. კოხრეიძე. სიმონ ხუნდაძე. თბ. 2005, გვ. 14-15.

ის პროცესი – დომინოს პრინციპით განვითარდა:

1921 წლის მარტი – ბუნდის (ებრაელთა სდ პარტია) ლიკვიდაცია.

გარდა თვითლიკვიდაციისა, საბჭოთა ხელისუფლება პირდაპირი გზებითაც აუქმებდა პარტიებს. რკპ (ბ) მეთორმეტე ყრილობამ მიიღო რეზოლუცია "ანტისაბჭოთა პარტიებისა და მიმდინარეობების შესახებ". შედეგად, 1922 წელს ჩატარდა მემარჯვენე ესერების სასამართლო პროცესი. 1923 იანვარში რეპრესირებულმა პარტიამ ჯერ პარტიის საქალაქო ორგანიზაციების თვითგაუქმება მოახდინა, ხოლო შემდეგ ესერთა პარტიის სრული თვითლიკვიდაცია განახორციელა.

1923-1924 წლებში მიმდინარეობდა მენშევიკური და სხვა დარჩენილი წვრილი პარტიების ლიკვიდირება და თვითლიკვიდირება.

იყო ერთი მიხაილ პავლოვიჩ ტომსკი – ბოლშევიკი პროფკავშირული ლიდერი, რომელმაც პარტიების იძულებითი თვითლიკვიდირების პროცესი მოხდენილი აღიარებით დაასრულა, როცა ერთ-ერთ ყრილობაზე განაცხადა: „ჩვენში ბევრი პარტიებია. მაგრამ საზღვარგარეთისაგან განსხვავებით, ჩვენთან ერთი პარტიაა ხელისუფლებაში, ხოლო დანარჩენები ციხეში არიან".[14]

ეს ყველაფერი ქართველი საზოგადოების თვალწინ ხდებოდა და მისი ანალიზის და დასკვნების საგანს შეადგენდა. უკანასკნელ ხანებში – შენიშნავდა მემარცხენე „სოციალისტ-ფედერალისტის" მემკვიდრე გაზეთი „ტრიბუნა" – პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ხდება პოლიტიკური პარტიების რღვევა და დაშლა, რომელმაც სისტემატური ხასიათი მიიღო. საინტერესოა რით ხსნიდა გაზეთი ამ „დიდ და იშვიათ" მოვლენას. გაზეთი ვერ დაწერდა რომ პარტიების რეპრესიების პროცესს საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებდა და პირიქით, პასუხისმგებლობისაგან ანთავისუფლებდა ბოლშევიკურ სისტემას. „რასაკვირველია, დიდი მეცნიერული უმეცრება იქნებოდა გვეფიქრა, რომ პოლიტიკური პარტიების დაშლას იწვევდეს და განსაზღვრავდეს გარეშე მომენტი"[15]

მაშ რა იყო ეროვნულ-დემოკრატთა პოლიტიკურ ასპარეზიდან თვითგაქრობის მიზეზი გაზეთის აზრით? „დღეს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ შეიგნო თავისი დამარცხება და ხელიდან გააგდო ის ხმალი, რომელიც მაინც არაფერს არ სჭრიდა". ბოლოს, გაზეთი დაასკვნიდა

[14] С. А. Степанов. Политические партии России: история и современность. Учебное пособие. Москва. 2008, გვ. 103.

[15] „ტრიბუნა". 1923 წლის 31 ოქტომბერი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაცია.

რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ორგანიზაციულად აერთიანებდა ჩვენი ქვეყნის ყველაზედ მემარჯვენე და რეაქციონურ ნაწილს, აღარ არსებობს, ხოლო ამ პარტიის ცოცხალი ნაწილი ცდილობს პერსონალურად ხელი შეუწყოს საბჭოთა წყობილების განმტკიცების საქმეს. ეს ფაქტი თავისთავად დიდათ მნიშვნელოვანია“.[16] მსგავსი სტატიები „ტრიბუნაში“ იბეჭდებოდა მემარცხენე ესერების კავკასიის საოლქო კომიტეტის, თბილისის კომიტეტის სალიკვიდაციო და ყოფილ დაშნაკთა სალიკვიდაციო ყრილობის შესახებაც. სტილი იგივე იყო – საერთაშორისო და სოციალიზმის საერთო მიზნებისათვის უნდა გაერთიანებულიყვნენ რუსეთის კომუნისტურ პარტიასთან და მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის ნიადაგზე. არავითარი ძალდატანება გარედან და მით უფრო – საბჭოთა რუსული ხელისუფლებისაგან. რეალობა და სინამდვილე კი სრულიად საწინააღმდეგო იყო – სოციალისტ-ფედერალისტების პარტია მკაცრი აუცილებლობის წინაშე დადგა – მას ან ბრძოლა უნდა გაეგრძელებინა ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ან პარტია უნდა გაეუქმებინა და კომპარტიაში გაერთიანებულიყო. მემარცხენეებმა უკანასკნელი არჩიეს – იდეური, პარტიული სიკვდილი და ფიზიკური გადარჩენა. 1923 წლისათვის რუსეთში, კავკასიასა და საქართველოში უკვე ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა თითქმის გაუქმებული იყო და ახლა მემარცხენე ფედერალისტების ჯერი დამდგარიყო. ისინიც მზად იყვნენ თვითლიკვიდაციისათვის. ყალბი იყო მემარცხენე ფედერალისტების მტკიცება რომ თითქოს პარტიებმა საკუთარი ნებით არჩიეს პოლიტიკური სიკვდილი. ყალბი იყო მემარცხენე ფედერალისტების მტკიცება, თითქოს მათ აირჩიეს საკუთარი პარტიის გაუქმების გზა. არა. პოლიტიკური და ოპოზიციური პარტიების განადგურების გეგმა მოსკოვშიც, თბილისშიც და საბჭოთა რესპუბლიკების დედაქალაქებში – ცენტრის მითითებით, ადგილობრივმა ხელისუფლებებმა დაგეგმეს და განახორციელეს.

1922 წლის 21 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მოიწონა საქართველოს საგანგებო კომისიის გეგმა, რომელიც თვალისწინებდა ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ რეპრესიების ჩატარებას. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა პარტიების წინააღმდეგ რეპრესიების დაწყებისათვის გამოეყენებინა 26 მაისის დღე, როგორც ხელსაყრელი დრო: „... ეს მომენტი ცნობილ იქნეს შესაფერისად ანტისაბჭოთა პარტიების წევრთა რუსეთში

[16] „ტრიბუნა“. 1923 წლის 31 ოქტომბერი.

გადასასახლებლად და ეთხოვოს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს პრინციპული თანხმობა მასზე“ – ვკითულობთ საქართველოს კპ ცკ-ის პრეზიდიუმის დადგენილებაში.[17] ამ და სხვა მსგავს დადგენილებებს მოჰყვა 1923 წლის დასაწყისიდან თვითსალიკვიდაციო ყრილობები, კონფერენციები და კრებები, რომელნიც ინტენსიურად მიმდინარეობდა საქართველოში განსაკუთრებით 1923 წელს.

